ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლონეთში ბინების ქარცვისთვის საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს





გვ.5

პარასკევი, 9 ივნისი, 2023 №112 (9148) ფასი: 80 თეთრი

# „ხაბეიშვილი, როგორც პოლიტიკოსი, არაადეკვატურია“




რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილს ქართული პოლიტიკა ერთი დღეც არ დაუტოვებია. მერე რა, რომ ციხეშია, ციხიდანაც შეიძლება პოლიტიკაში ყოფნა“



გვ.3

ლელა ჯეჯელავა: „ქვეყანას ეკარგება მომავალი და სააკაშვილისგან რა საფრთხეებზეა ლაპარაკი, რომ კრიმინალს ისევ ციხეში შეყრის?!“



გვ.2

## „ხელისუფლებისგან კიდევ ერთი საფრთხე გველის“

## „კახოვკა რუსეთმა ააფეთქა, რადგან უკრაინელები შეტევაზე გადასვლას გეგმავდნენ“



გვ.3

ვახტანგ მაისაია: „რუსებმა ის ადგილები დატბორეს, რომ უკრაინელებს შეტევა არ განევითარებინათ არა დონეცკის, არამედ ზაპოროჟიეს მიმართულებით“

„ჰესის აფეთქება მძიმე სიტუაციაა, მაგრამ ჩვენ ვემზადებოდით ამგვარი სცენარებისთვის“





გვ.4

## „რუსებს შეტევითი პერსპექტივები აღარ აქვთ“

## მარნეულში არასრულწლოვანი გოგონა მოიტაცეს



გვ.4



გვ.2

## ალეკო ელისაშვილი: „ძალიან მეგობრობა, ვაკიდან რომ იწყებენ ხოლმე ყველაფერს, გეგონება, ვაკის გარდა ხალხი არ ცხოვრობდეს“

9993230720223

4 რომელი ავიაკომპანიით გაფრინდა პრეზიდენტი „ბირუსასთვის“ „აირუსანსთვის“ გამოცხადებული ბოიკოტის შემდეგ

5 პოლიციამ გორში მომხდარი ექსესიის გაქურდვის ფაქტი გახსნა

4 „მინიმუმ 1-1.5 წელი ელექტროენერგიის სექტორში ტარიფების ზრდა მოსალოდნელი არ არის“

6 რატომ ბომბავს რუსეთი უკრაინას?!

# „ხელისუფლებისგან კიდევ ერთი საფრთხე გველის"

## ლელა ჯეჯელავა: „ქვეყანას ეკარგება მომავალი და სააკაშვილისგან რა საფრთხეებზეა ლაპარაკი, რომ კრიმინალს ისევ ციხეში შეყრის?!"

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

***– ქალბატონო ლელა, ოპოზიციამ აქტიურად დაიწყო საუბარი გაერთიანებაზე, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პროცესს ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა – ნაციონალებთან არ მივალთ, რა უფლება აქვთ, რომ მოგვიწოდებენ მათ ქოლგის ქვეშ გაერთიანებასო და ასე შემდეგ. როდესაც ასეთი მძიმე სურათია ქვეყანაში, ვხედავთ ხელისუფლების კურსს, რატომ იქცევა ოპოზიცია ასე უპასუხისმგებლოდ?***

– ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. პირველი ის, რომ ამბიციებსა და შესაძლებლობებს შორის სერიოზული აცდენაა; მეორე – გარკვეული ტიპის ვალდებულებები აქვთ და მესამე – შესაძლოა, ეს მოსდით არასაკმარისი პოლიტიკური გამოცდილებით. ახლა რომელი ჯგუფი რომელს მიეკუთვნება, ეს თავად გაარკვიონ. უკვე 12 წელია მესმის ერთი და იგივე, რომ ახალი პოლიტიკური ძალა უნდა შეიქმნას და წლებია, ამ ძალას ელოდებიან ადამიანები. ახალი პოლიტიკური ძალის შესაქმნელად ძალიან ბევრი რამ არის საჭირო, მათ შორის ფინანსები, საერთაშორისო კონტაქტები, რომ პოლიტიკურმა ძალამ არჩევნებში წარმატების მიღწევა შეძლოს. საიდან უნდა მოვიდეს ამ ერთ წელიწადში ეს ახალი ძალა?! რაც შეეხება იმას, დანარჩენი შეიკრიბებიან-არ შეიკრიბებიან, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. მათი შესაძლებლობები ხომ გაზომილია და რეიტინგებშია გამოხატული. რაც შეიძლება მეტი ოპოზიციური პარტია უნდა დაჯგუფდეს ერთად. სწორედ ეს არის არსებულ საარჩევნო პირობებში გამოსავალი.

***– ყველა ნაცების გარეშე – ხშირად ვისმენთ ასეთ მოწოდებებს. სადაც ნაცები იქნებიან, იქ ხელისუფლება მარტივად შეძლებს, ისევ შუა გაკრიფოს და ამომრჩეველი კვლავ ორი არჩევანის წინაშე დააყენოს: ნაცები თუ ქოცები? ამაზე რას იტყვით?***

– ხელისუფლება ძალიან ბევრ სისულელეს ამბობს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. ხელისუფლება იმასაც ამბობს, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი სიმბოლურია და არაფერს არ გვაძლევს. ასევე ამბობს იმასაც, რომ ყველაფერს აკეთებენ სტატუსის მისაღებად და ჩვენ ეს ყველაფერი უნდა მივიღოთ, როგორც რეალობა?! საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს,



**„ძალიან მალე რუსეთი სამოქალაქო ომის წინაშე დადგება. იქ ამის ყველა პირობა არსებობს"**

ხელისუფლება საითკენ გაიშვერს ხელს?!

***– ექსპერტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ნაციონალები ასეთი თამამი განცხადებებით „ოცნების" წისქვილზე ასხამენ წყალს, მეორე ნაწილი თვლის, რომ ის, ვინც გაერთიანების წინააღმდეგია, თამაშობს ამ ხელისუფლების თამაშს. რეალურად როგორ არის საქმე?***

– ძალიან მარტივად არის საქმე და, ვისაც დანახვა უნდა, მას შეუძლია, დაინახოს. სამწუხაროდ, ექსპერტთა გარკვეული ნაწილი, რომელსაც არც ნაცებთან უვარგა ურთიერთობა და არც ქოცებთან, რადგან ყველასთან ძალიან ახლოს იყო, ახლა თავისთვის ეძებს ახალ აეროდრომს. სწორედ ეს არის მათი ამოსავალი შეფასებების დროს და არა რეალური ვითარება.

***– როგორია რეალური ვითარება?***

– რეალური ვითარება არის ძალიან მარტივი. არსებობს ხელისუფლება თავისი შემცირებული მხარდამჭერებით და არსებობს ბიძინა ივანიშვილის დიდი გავლენა საზოგადოებისა და პოლიტიკური ჯგუფის ამ ნაწილზე. მეორე მოცემულობა კი ასეთია: არსებობს ნაციონალური მოძრაობა, მიუხედავად იმ რთული პროცესებისა, რომლებიც ამ პარტიაში მიმდინარეობს, რეიტინგით ყველა ოპოზიციაზე მაღლა დგას და ყველაზე მეტი ელექტორალური მხარდაჭერა აქვს. ასევე არსებობენ სხვა პარტიები, რომელთა მხარდაჭერა ყველაზე მაქსიმალურ შემთხვევაში არის 3%, თან რომელიც არ იზრდება. რამ შეუშალათ ხელი, რომ 2020-2021 წლის არჩევნების შემდეგ საკუთარი რეიტინგები გაეზარდათ?!

მე როგორც ვხედავ, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, რომელიც ციხეშია, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისგან მთლად დისტანცირებული არ არის.

***– ბოლო პერიოდში გააქტიურდა ეს თემა.***

– დიახ, ასეა. ძალიან მკაფიოდ ჩანს მთელი რიგი დეტალებით, რომ ის გარკვეულწილად მხარს უჭერს პარტიის დღევანდელ ხელმძღვანელობას. ამას მიუთითებს თუნდაც მის პირად მამულში გამართული პარტიის შეკრება. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ ნაციონალური მოძრაობის ელექტორატი არის მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ელექტორატი. როგორც არ უნდა გაიყოს ეს პარტია და რა პროცესებიც არ უნდა განვითარდეს შიგნით, ეს პარტია მაინც ასოცირდება მიხეილ სააკაშვილთან თავისი წარმატებებითა და წარუმატებლობებით.

***– სააკაშვილის გააქტიურება, იმის განცხადება, რომ ის ჩვენი პრემიერობის კანდიდატი იქნება, ხომ არ მისცემს „ოცნებას" იმის საშუალებას, კვლავ ბუა დახატოს მისი სახით?***

– იმაზე მეტ ბუად, როგორიც დღეს „ქართული ოცნებაა"?! რომელიც ქვეყანას რუსეთისკენ მიაქანებს, იმ რუსეთისკენ, რომლის დამარცხებაზეც მთელი ცივილიზებული სამყარო მუშაობს. ეს ხელისუფლება მომავლის პერსპექტივას გვაკარგვინებს. ამაზე მეტი რა საფრთხე ელის ქვეყანას?! ამაზე ცუდი და საშიში რა უნდა გაუკეთოს მიხეილ სააკაშვილმა ან ნაციონალურმა მოძრაობამ ჩვენს ქვეყანას?! ამ ადამიანებს პრიორიტეტები საერთოდ არა აქვთ?! ქვეყანას ეკარგება მომავალი და სააკაშვილისგან რა საფრთხეებზეა ლაპარაკი, რომ კრიმინალს ისევ ციხეში შეყრის?!

***– ვკარგავთ კანდიდატის სტატუსის მიღების შანსს?***

– კანდიდატის სტატუსი არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ჩვენი ინტეგრაციისთვის. ამ ხელისუფლების პირობებში, კანდიდატის სტატუსი რომც მივიღოთ, ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივა მინიმალურია! ძალიან მალე რუსეთი დადგება სამოქალაქო ომის წინაშე. იქ ამის ყველა პირობა არსებობს. ისინი შემოგვთავაზებენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, როგორიც გარეჯის დაბრუნების თემა იყო.

***– უკვე აქტიურად განიხილავენ ამ საკითხს, ტერიტორიული მთლიანობა გირჩევნიათ თუ ნატო და ევროკავშირიო. რამდენად სახიფათო საკითხია?***

– ძალიან მაინტერესებს, საზოგადოებამ რამდენჯერ უნდა წაიმტვრიოს ცხვირი? ხომ ყელის გამოლადვრამდე იბლავლა საზოგადოებამ, რომ გარეჯი საქართველოა. სად არის ახლა გარეჯის ეს ნაწილი? უკვე საბოლოოდ გამქრალია პერსპექტივა, რომ დაუბრუნდება საქართველოს. მერამდენედ უნდა გადაყლაპოს საზოგადოებამ, მერამდენედ უნდა წამოეგოს „ოცნების" უბინძურეს პროვოკაციებს?!

***– ქალბატონო ლელა, სულ ვისმენთ შეფასებებს, რომ პროცესები შესაძლოა ძალიან მოულოდნელად შეიცვალოს, რადგან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული რუსეთ-უკრაინის ომზე. ნატოს წარმომადგენლები არ გამორიცხავენ უკრაინაში თავიანთი დანაყოფების გაგზავნას. რამდენად შეცვლის ეს სურათს და რას ელით?***

– სურათი როდის შეიცვლება, წინასწარ არავინ იცის. ცხადია, რომ მთელი ცივილიზებული საზოგადოება მობილიზებულია და განწყობილია უკრაინის მხარდასაჭერად. რუსეთი უნდა დამარცხდეს ამ ომში! რუსეთს აღარ ჰყავს სამხედრო პარტნიორები, ირანის გარდა. ამიტომ ეს ომი როგორ დასრულდება, ყველასთვის კარგად არის ცნობილი, ვისაც კი ამის დანახვა უნდა.

***– ნატოს ღიად ჩართვა ომში რამდენად უბიძგებს პუტინს, გამოიყენოს ბირთვული იარაღი?***

– სხვათა შორის, კაშხლის აფეთქება [illegible]ტიცია იყო. გარკვეულწილად მათ ამით განაცხადეს, რომ ყველაფერზე არიან წამსვლელები. თუმცა ნატოს სარდლობამ და ჩვენი პარტნიორების სპეცსამსახურებმა გადასარევად იციან ის შესაძლებლობები, რომლებიც ბირთვული თვალსაზრისით რუსეთს აქვს. ამიტომ მათ აუცილებლად ექნებათ ამაზე საპასუხო ზომები. დარწმუნებული ვარ, გეგმა არსებობს. სხვაგვარად სრულიად წარმოუდგენელია. მე მგონია, რომ ბირთვულ საფრთხემდე არ მიიყვანენ საქმეს. ძალიან მალე რუსეთი დადგება სამოქალაქო ომის წინაშე. იქ ამის ყველა პირობა არსებობს.

# ალეკო ელისაშვილი: „ძალიან მეგონიმება, ვაკიდან რომ იწყებენ ხოლმე ყველაფერს, გეგონება, ვაკის გარდა ხალხი არ ცხოვრობდეს"



– თითქოს რაღაცას ფაფხურობს მერია, მაგრამ, ჯერ ერთი, ძალიან გვიან დაიწყო ის ყველაფერი, რაც დაიწყო და მერე ძალიან უთავბოლოდ ახორციელებს, – ამის შესახებ პარლამენტის წევრმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ხალხის ყველაზე დიდ ნაკადს მეტრო ემსახურება, დედაქალაქის მერიისთვის სწორედ მისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება უნდა ყოფილიყო პრიორიტეტი.

– თითქოს რაღაცას ფაფხურობს მერია, მაგრამ ჯერ ერთი, ძალიან გვიან დაიწყო ის ყველაფერი, რაც დაიწყო და მერე ძალიან უთავბოლოდ ახორციელებს. ნებისმიერ საქმეს ხომ თავის თანამიმდევრობები და ლოგიკა აქვს, სახლს ხომ ვერ ააშენებ სახურავიდან, ან პირდაპირ კედლების შენებას ხომ ვერ დაიწყებ?! საძირკვლიდან უნდა დაიწყო. ჯერ უნდა გაიაზრო, უნდა გრძნობდე, ხედავდე სად არის პრობლემები და მერე უნდა დაგეგმო გამოსავალი.

მოდით, გავიხსენოთ, ვაკეში იყო პირველი. ჯერ ძალიან მეგოიმება, ვაკიდან რომ იწყებენ ხოლმე ყველაფერს, გეგონება, ვაკის გარდა ხალხი არ ცხოვრობდეს და იმათთვის არ იყოს მნიშვნელოვანი რაღაცის გაკეთება. პირველი ეცნენ და ვაკე დახაზეს... მე ამის მომხრე ვარ, რომ იხაზება. ახლა არაპოპულარულ რამეს ვიტყვი, ძალიან ბევრს აღიზიანებს და ბევრისთვის გაუგებარია, განსაკუთრებით ჩემს მშობლიურ პავლოვზე, ყაზბეგზე და სხვაგან როგორც იხაზება, გინება და ფურთხება მიდის. ეს კი სწორია, მაგრამ არასწორად კეთდება.

პირველ რიგში, რა არის არასწორი, უნდა დაალაგო თანაბარ მოცემულობად, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა თბილისში. ვის გადაჰყავს ყველაზე მეტი ხალხი – ეს არის მეტრო. შესაბამისად, პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო მეტრო. ეს არის იმდენად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა თბილისში, არ იკავებს ერთ კვადრატულსაც კი მიწის ზედაპირს (ამოსასვლელებს თუ არ ჩავთვლით). უზარმაზარი ინფრასტრუქტურაა მიწის ქვეშ ისე, რომ არ აფერხებს ზემოთ არაფერს. სადგურებმა პრინციპში, თავის თავი ამოწურეს, ერთი იყო ვაჟა-ფშაველა, რომელიც შევარდნაძის დროს გაიხსნა და მეორე – უნივერსიტეტი, ერთი, რასაც ნარმანიამ ძლივს მოაბა თავი... და ნახეთ, როგორ განვითარდა ვაჟა-ფშაველას ბოლოს და პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე ყველაფერი, დეველოპმენტი როგორ მიდის, უძრავი ქონების ფასი როგორ გაიზარდა... მეტრო ამიტომაცაა კიდევ მნიშვნელოვანი.

მაგრამ, ამის გარდა, მეტროს კიდევ ჰქონდა შესაძლებლობები, მაგალითად, მარჯანიშვილისა და ახმეტელის თეატრის მეორე ამოსასვლელები. ახლახან ამოღერღა კალაძემ, გლდანში რომ კატასტროფა იყო ჩასვლაზე, საბჭოთა დროს დაპროექტებულია ერთი გვირაბიო... მერე წავედი და ვიდეოც გადავიღე, დაპროექტებული კი არა, გაყვანილია უკვე 90-95% დამთავრებულია, უბრალოდ, მოპირკეთება უნდა. წარმოიდგინეთ, ორივე მხრიდან რომ ამოსასვლელები იქნება, როგორ განიტვირთება.

ტრანსპორტის პრობლემების მოგვარება უნდა დაიწყოს იმით, რომ მერი, მერის მოადგილეები, გამგებლები, დეპარტამენტების სამსახურების უფროსები უნდა დადიოდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

# ალუდა ღუდუშაური: „ხან ამბობდნენ, რომ გვამის სუნი ასდის, დღეს გვესმის, რომ პრემიერმინისტრობის კანდიდატად ჰყოლიათ გადანახული მიხეილ სააკაშვილი"

– ნაციონალურ მოძრაობას ვურჩევდი, რომ იქნებ ჩამოყალიბდნენ ეს ქალბატონები და ბატონები. ხან ამბობდნენ, რომ, ასე ვთქვათ, გახსოვთ, ხომ? გვამის სუნი ასდის, ახლა არა და მომდევნო საათში ფატალური შედეგი დადგება და ა.შ. და ა.შ. და დღეს გვესმის, რომ თურმე პრემიერმინისტრობის კანდიდატად ჰყოლიათ გადანახული მიხეილ სააკაშვილი.

ისიც კარგად გახსოვთ, რომ როდესაც ამ ვაჟბატონმა მორიგ ჯერზე სამარცხვინო ნაბიჯი გადადგა და ქართველ ხალხს უთხრა – მე თქვენ არ გელაპარაკებით ქართულად და მე გესაუბრებით მხოლოდ უკრაინულ ენაზეო. ქართული პოლიტიკა და საქართველოს ბედ-იღბალი აღარ მაინტერესებს და ამით პრაქტიკულად თქვა, რომ როგორმე იქნება თავი ციხისთვის დაეღწია, – ამბობს „ქართული ოცნების" დეპუტატი ალუდა ღუდუშაური მოსაზრებაზე, რომ ენმ-ს პრემიერობის კანდიდატი მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის შესაძლოა მიხეილ სააკაშვილი იყოს.



# რატი ბრეგაძე: „თუკი ვინმე გვაკრიტიკებს, მან უნდა მოიყვანოს შესაბამისი არგუმენტები"

რატი ბრეგაძის თქმით, ევროპარლამენტი ერთიანი ხმით არ საუბრობს და მასში ბევრი განსხვავებული აზრია.

– ევროპარლამენტში ძალიან ბევრი განსხვავებული აზრია, სწორედ ეს არის დემოკრატია. თქვენ რა გგონიათ, ევროპარლამენტი ერთიანი ხმით საუბრობს ყველგან და ყველა ერთ აზრზეა? არა. ეს არის ერთ-ერთი დეპუტატის მოსაზრება. შეიძლება, სხვა დეპუტატსაც ჰქონდეს განსხვავებული მოსაზრება. მაგრამ, საბოლოო ჯამში, დარწმუნებული ვარ, რომ ევროკავშირი აუცილებლად მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც გაგიხარდებათ როგორც თქვენ, ასევე საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც სჯერა საქართველოს ევროპული მომავლის. თუკი ვინმე გვაკრიტიკებს, მან უნდა მოიყვანოს შესაბამისი არგუმენტები. საქართველოში სასამართლო სისტემა დღეს არის ყველაზე დამოუკიდებელი მისის არსებობის ისტორიაში. კარგის მეტი არაფერი გაგვიგია ევროპელი კოლეგებისგან 12 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით, – ამბობს რატი ბრეგაძე.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ხაბეიშვილი, როგორც პოლიტიკოსი, არაადეკვატურია“

## რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილს ქართული პოლიტიკა ერთი დღეც არ დაუტოვებია. მერე რა, რომ ციხეშია, ციხიდანაც შეიძლება პოლიტიკაში ყოფნა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



***— ბატონო რამაზ, ნაციონალური მოძრაობის განცხადებას, რომ სააკაშვილი არჩევნებზე შესაძლებელია მათი პრემიერობის კანდიდატი გახდეს, გამოხმაურებები მოჰყვა. იუსტიციის მინისტრმა მათ სააკაშვილის უცხო ქვეყნის მოქალაქეობა შეახსენა. პარტიის მხრიდან ამაზე საუბარი პიარის ნაწილია?***

— რა თქმა უნდა, სხვა რა უნდა იყოს, როდესაც ადამიანი, ჯერ ერთი, ციხეშია და მეორე – საქართველოს მოქალაქე არ არის. საქართველოს კონსტიტუციით კი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ამ თანამდებობის დაკავება არ შეუძლია. ეს რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს.

შინაარსობრივ ნაწილზე თუ გადავალთ, გასაგებია, რა იმალება ამ განცხადების უკან. პარტიაში მიმდინარე პროცესები არ აისახა მაინცდამაინც დადებითად. სოციოლოგიური კვლევებით ასეთი დაბალი რეიტინგი ამ პარტიას ჯერ არ ჰქონია. ღიად გამოჩნდა, რომ პარტიაში განხორციელებულ ცვლილებებს, საერთოდ მიმდინარე მოვლენებს მისი ერთგული მხარდამჭერები არ იწონებენ. თითქოს ელექტორატი განუდგა პარტიას. ამიტომ მოიფიქრეს, იქნებ მიხეილ სააკაშვილის სახელმა დააბრუნოს წასული ამომრჩეველი. ახალი ამბავი არ არის, რომ სწორედ სააკაშვილია დღემდე ამ პარტიის მთავარი სახე, უმთავრესი გამწევი ძალა. მას აქვს ის ქარიზმა, რომელიც პარტიას დღემდე მოჰყვება.

***— რამდენად იქნება შედეგიანი, ელექტორატს დაიბრუნებენ?***

— ეს ძალიან ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. ამ პარტიის იმიჯის გადარჩენა, არა მგონია, ასეთი მარტივი იყოს იმ ყველაფრის მერე, რაც მოხდა. სააკაშვილი გარეთ რომ იყოს, სულ სხვა რეალობა იქნებოდა, მაგრამ ციხეშია. ამიტომ ძალიან მეეჭვება, რომ ლოგიკური ანალიზი გაკეთდეს და ლოგიკური გადაწყვეტილებები მიიღონ. ეს უფრო იმპულსური ადამიანებისგან გაკეთებულ იმპულსურ განცხადებებს ჰგავს. ესეც იმ განცხადებების რიცხვიდანაა, რომლებიც ლევან ხაბეიშვილმა წინასაარჩევნოდ გააკეთა – „ვივამედში“ შევვარდები და სააკაშვილს დავიხსნიო, ან თუნდაც ამ ორი დღის წინ გაკეთებული განცხადება, რომ „ქართული ოცნების“ თუ ბიძინა ივანიშვილის დამარცხების გასაღები მათ ხელშია, ყველას მხრიდან დასაცინი აღმოჩნდა. არ შეიძლება, ასეთი უმწიფარი განცხადებებით პარტიის, თან რიგით მეორე პარტიის თუ მთავარი პარტიის, როგორ უწოდებენ, ლიდერი გამოდიოდეს – არ შეიძლება.

***— როგორც ჩანს, ხაბეიშვილით გუნდის შიგნითაც უკმაყოფილო არიან. ითქვა, რომ არ არის გამორიცხული მისი ჩანაცვლება ლევან ბეჟაშვილით ან დავით კირკიტაძით.***

— არც ერთს აქვს ქარიზმა და არც მეორეს, თან, არც პოლიტიკური ხიბლი არა აქვს არცერთს. არცერთს არ გამოუჩენია მთელი ამ ხნის განმავლობაში რაიმე მიმართულებით თავი თუნდაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ამდენი წელია პოლიტიკაში არიან და შეიძლება მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა ვერც კი გაიხსენოს, ვინ არიან.

რაც შეეხება ხაბეიშვილს, ერთადერთი პლუსი ჰქონდა, როდესაც პარტიის თავმჯდომარედ ირჩევდნენ, რომ ის არ იყო გასვრილი და ახალი სახე იყო საერთოდ პოლიტიკაში, მაგრამ ძალიან არაადეკვატური აღმოჩნდა, მეტიც, მე ვიტყოდი, პოლიტიკისა და პოლიტიკოსისთვის შეუფერებელი. ასე პოლიტიკა არ კეთდება. ის განცხადებები, რომლებიც გააკეთა, სრულიად არაადეკვატური იყო. სხვათა შორის, დღემდე არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს. შეიძლება პარტიაში, გუნდში არ ფიქრობენ, არ აანალიზებენ და, რაც ენაზე მოადგება, ის ილაპარაკოს?! თუ ანალიზიც კეთდება, მსჯელობენ კიდეც და მაინც ამდენ შეცდომას უშვებენ, მაშინ, არ ვიცი, რა ხდება.

რაც შეეხება ბეჟაშვილსა და კირკიტაძეს, არა მგონია, მათი ლიდერობა რაიმე შედეგის მომტანი გახდეს. ესეც მორიგი შეცდომა იქნებოდა.

***— რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ის რამდენად დათანხმდება ამ წინადადებას? ითქვა, კონსულტაციებსაც გადიანო, თუმცა გიული ალასანიამ გამორიცხა სააკაშვილის კანდიდატობა.***

— არა მგონია, რომ სააკაშვილი პოლიტიკიდან სადმე შორს წავიდა. ის რჩება პოლიტიკაში.

***— მისი ადვოკატის ვალერი გელბახიანის განცხადება, რომ მას არ აინტერესებს ქართული პოლიტიკა, სხვა რამეზე იყო გათვლილი?***

— დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ შედეგი არ გამოილო. სააკაშვილს ქართული პოლიტიკა ერთი დღეც არ დაუტოვებია. მერე რა, რომ ციხეშია, ციხიდანაც შეიძლება პოლიტიკაში ყოფნა და ამის არაერთი მაგალითი არსებობს პოლიტიკის ისტორიაში. სხვა საქმეა, რამდენად გონივრულად იმოქმედებ და რამდენად გონიერი იქნები.

რაც შეეხება იმას, იქნება თუ არა პრემიერობის კანდიდატი, ცხადია, აქ გადამწყვეტი სამართლებრივი საკითხია – თუ გახდება ან დაიბრუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

## „მაქვს პატივი, გელაპარაკოთ მიხეილ სააკაშვილის სახელით“ — წითლიძის გამოსვლა ევროპარლამენტში

— მე მაქვს პატივი, გელაპარაკოთ მიხეილ სააკაშვილის სახელით – ასე დაიწყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარლამენტის წევრმა ანა წითლიძემ გამოსვლა ევროპარლამენტში.

გამოსვლაში მან ისაუბრა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემქმნელზე, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის როლზე, მის ტყვეობასა და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაზე, პოლიტპატიმრებსა და კანდიდატის სტატუსზე, ასევე, საქართველოს მოქალაქეების იმ 89%-ზე, რომელთა არჩევანიც არის ევროპა, იმ გეოპოლიტიკურ შესაძლებლობებზე, რომელიც აქვს საქართველოს, ოლიგარქიულ კლანსა და საქართველოში არსებულ კორუფციაზე.

მე ვარ იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შექმნა. ის ახლა ციხეშია პრორუსული ხელისუფლების წყალობით და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

მე მაქვს პატივი, გელაპარაკოთ დღეს მიხეილ სააკაშვილის სახელით და ასევე საქართველოს მოქალაქეების იმ 89 პროცენტის სახელით, ვისი არჩევანიც არის ევროპა და ეს არ არის მხოლოდ სიტყვები. მთელი ჩვენი ისტორია არის თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორია. ჩვენი ტერიტორიების 20% დღესაც ოკუპირებულია.

გეოპოლიტიკურ შესაძლებლობას, რომელიც ჩემს ქვეყანას ახლა აქვს, ჩემი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ელოდა. თაობები შეეწირნენ ამას.

თბილისის ქუჩებში საქართველოს მოქალაქეები გამოვიდნენ ევროპული მომავლის დასაცავად, რუსული კანონის წინააღმდეგ.

2012 წლამდე საქართველო იყო აღმოსავლეთ ევროპის ლიდერი ქვეყანა – ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ 11 წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების განცხადებები და ქმედებები იქნებოდა ასეთი ანტიევროპული. „ქართული ოცნების“ ლიდერების პროპაგანდა არის ის, რომ ევროპას უნდა ომი და მეორე ფრონტი საქართველოში.

ჩვენ მივიღეთ ოლიგარქიული სისტემა, კორუფცია, არათავისუფალი, სანქცირებული სასამართლო, პოლიტიკური პატიმრები. კიდევ უფრო მეტი, ვიდრე აქ აღვნიშნავ.

მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების ქმედებები საქართველოს ევროპული კურსის დასაზიანებლად, ჩემი ქვეყანა და ჩემი ხალხი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, – განაცხადა წითლიძემ.

# „კახოვკა რუსეთმა ააფეთქა, რადგან უკრაინელები შეტევაზე გადასვლას გეგმავდნენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

***— ბატონო ვახტანგ, კახოვკაში ჰესის აფეთქებასთან დაკავშირებით თქვენი შეფასებები როგორია? თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ კაშხალი რუსებმა ააფეთქეს. რუსეთი კი უკრაინისკენ იშვერს ხელს და ვრცელდება ინფორმაცია, რომ შეიძლება ეს თვით უკრაინელების აფეთქებულიც იყოს. ამერიკელებიც ამბობენ, რომ ზუსტად არ იციან. ვის უფრო შეიძლება ვენდოთ?***

— ლოგიკურად, კახოვკა რუსეთმა ააფეთქა, რადგან უკრაინელები შეტევაზე გადასვლას გეგმავდნენ და რუსებმა შეტევის გეგმის განხორციელება, თავიანთი ჭკუით, ვითომ ჩაშალეს. უკრაინელებმა, ფაქტობრივად, შეტევა განახორციელეს დონეცკის ფრონტის სამხრეთ მიმართულებით, ნოვოდონეცკის მიმართულებით და 8 კილომეტრით გადაიწიეს. ეს კი კახოვკასთანაა, ზაპოროჟიეს ფრონტისა და დონეცკის ფრონტის საზღვარზეა.

ფაქტობრივად, ისინი ჩრდილოეთიდან ურტყამდნენ და აპირებდნენ, საკმაოდ სერიოზული რუსული შენაერთები ალყაში მოექციათ. როგორც ჩანს, რუსებმა იმისათვის, რომ უკრაინელებს შეტევა ზაპოროჟიედან არ დაეწყოთ, თავიანთი ჭკუით, ჰესი ჩაჩეხეს.

შესაბამისად, რუსებმა ის ადგილები დატბორეს, რომ უკრაინელებს შეტევა არ განევითარებინათ ზაპოროჟიეს მიმართულებით, ანუ არა დონეცკის, არამედ ზაპოროჟიეს მიმართულებით.

***— გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს უკრაინელი სამხედრო განიხილავდა კახოვკის კაშხლის აფეთქების ვარიანტს.***

— არაფერს არ განიხილავდა. უკრაინელებს კაშხლის აფეთქება არ სჭირდებოდათ, რადგან ეს მათ ინტერესებში არ შედიოდა. მეორეც, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს ტაქტიკა აქვთ, რომ ინფრასტრუქტურას უფრთხილდებიან, თუნდაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რადგან მათ ის გამოადგებათ, როდესაც სტატუსკვოს, ანუ სუვერენულ უფლებას აღიდგენენ, ტერიტორიულ მთლიანობას უზრუნველყოფენ.

ასე რომ, უკრაინელებს კაშხლის აფეთქების არავითარი მოტივაცია არ ექნებოდათ. უკრაინელები ამ მიმართულებით შეტევაზე გადავიდნენ და საკუთარ თავს ხომ არ აუფეთქებდნენ.

***— შეტევის ოპერაცია უკვე დაწყებული იყო?***

— შეტევა დაწყებული იყო დონეცკის მიმართულებით და რუსებმა ჰესი ააფეთქეს, რომ შეტევა ზაპოროჟიეს მიმართულებით არ განევითარებინათ.

***— ანუ ამ აფეთქებით რუსებმა რა მოიგეს?***

— რუსებმა მოიგეს ოპერატიული დრო, შესაბამისად, უკრაინელებს საშუალება არ მისცეს, რუსული შენაერთები ოპერატიულ ალყაში მოექციათ. ეს არის ძირითადი მომენტი.

***— ითქვა, რომ უკრაინას ისეთი ძლიერი შეტევა უნდა წამოეწყო და უნდა განხორციელდეს, რომ გაქცეული რუსი ჯარისკაცები მოსკოვამდე ვერ გაჩერებულიყვნენ. ფაქტობრივად, რუსეთმა კაშხლის აფეთქებით უკრაინელების შეტევა გააჩერა, ალბათ დროებით?***



## ვახტანგ მაისაია: „რუსებმა ის ადგილები დატბორეს, რომ უკრაინელებს შეტევა არ განევითარებინათ არა დონეცკის, არამედ ზაპოროჟიეს მიმართულებით“

— კი, მაგრამ უკრაინელებმა მე-10 საარმიო კორპუსის მეშვეობით შეტევა მელიტოპოლის მიმართულებით დაიწყეს, ანუ ზაპოროჟიედან მელიტოპოლის მიმართულებით.

***— ძლიერი შეტევაა თუ, უბრალოდ, მორიგი?***

— მათ დაიწყეს ზაპოროჟიეს მიმართულებით მორიგი შეტევა. როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, შეტევა გუშინ დაიწყო. საკმაოდ სერიოზული შეტევა დაიწყეს. ვნახავთ, რით დასრულდება.

***— თქვენი შეფასებით, რუსული ჯარი როგორ მდგომარეობაშია, გამოფიტულია თუ შევსება მოახერხეს და შეიძლება უკრაინელების ამ შეტევას გაუძლოს?***

— მაგაზე საუბარი რთულია, მაგრამ რუსეთის საოკუპაციო ძალები საკმაოდ რთულ მდგომარეობაში რომ არიან, ფაქტია. რადგან რუსეთში სამხედრო-პოლიტიკურ კლანებს შორის შიდა დაპირისპირებებია. სერიოზული არათანხმობაა თვითონ სახეობებს შორის. შესაბამისად, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს კომპეტენტური სამხედრო, მაღალი დონის სტრატეგოსები ანუ გენერალიტეტი აკლია.

რუსეთის შეიარაღებული ძალები გადასული არიან თავდაცვაზე. ასე თუ ისე, ჯერჯერობით ამ ეტაპზე სიტუაციას აკონტროლებენ.

***— კახოვკის კაშხლის აფეთქებით ყირიმს წყლის მიწოდება შეეზღუდა. რუსები ამით, მგონი, თავს იმართლებდნენ, რადგან ყირიმს წყლის მიწოდება შეეზღუდა, კაშხლის აფეთქება უკრაინელების ინტერესში შედიოდაო.***

— რუსების ინტერესებში არ შედიოდა, რომ უკრაინელებს ყირიმის ნახევარკუნძული დაებრუნებინათ. შეტევის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, დიდი ალბათობა იყო, რომ უკრაინელები ყირიმზე გასულიყვნენ.

***— რუსებისთვის რომელი უფრო დიდი წარუმატებლობა იქნებოდა, ყირიმის დათმობა თუ ყირიმისთვის წყლის გადაკეტვა?***

— ყირიმის დათმობა რუსებისთვის უფრო ცუდი იქნებოდა.

***— ისე, რუსებზე უკრაინის დიდ შეტევასა და რუსეთის დამარცხებას ყველა ელოდება.***

— გეთანხმებით.

***— რუსეთის ქალაქებში ნოვგოროდსა და სხვაგან თავდასხმები რომ ხდება, უკრაინის გენშტაბის დაგეგმილია თუ რუსეთის შიდა პრობლემებითაა გამოწვეული?***

— შეიძლება უკრაინელების ერთგვარი ჰიბრიდული ომის ვარიანტია, რომ, დავუშვათ, იმავე რუს მოქალაქეს, რომელიც უკრაინის მხარეზეა, საშუალება მისცენ, პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ გამათავისუფლებელი ომი აწარმოოს. შეიძლება ასე მოინათლოს.

ეს სიტუაცია ძალიან მაგონებს 1919-20 წლებს, როდესაც ესერების ლიდერმა ბორის სანემკოვმა რუსეთის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია შექმნა და, ფაქტობრივად, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. ის ბოლშევიკების ტერიტორიაზე შედიოდა, რეიდებს ახორციელებდა და სხვადასხვა ქალაქში ბოლშევიკების ხელისუფლების დასამხობად აჯანყებებს აწყობდა.

ამდენად, ის, რაც ხდება რუსეთის ქალაქებში, ბორის სანემკოვის ტაქტიკის გამოყენებაა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებმაც გადაწყვიტეს, პუტინის რეჟიმს შეიარაღებული ბრძოლა გამოუცხადონ.

ისინი ჯერ ძალიან ცოტანი არიან. მათი შეიარაღებული ქმედებები პუტინის რეჟიმისთვის მაინცდამაინც ხიფათს არ იწვევს. მათი ქმედებები პუტინისთვის ისეა, როგორც კრაზანის კბენა.

***— ესენი ეთნიკურად რუსი რუსეთის მოქალაქეები არიან თუ უკრაინელი რუსეთის მოქალაქეები?***

— ეთნიკურად რუსი რუსეთის მოქალაქეები არიან. რა თქმა უნდა, უკრაინის შეიარაღებული ძალები და გენშტაბი ეხმარებიან. ბორის სანემკოვის გამათავისუფლებელ ორგანიზაციას პოლონეთის მხარე ეხმარებოდა.

***— ისე, სოციალურ ქსელებში რუსეთს დიდ კატასტროფას უწინასწარმეტყველებენ.***

— ეს მხოლოდ იმის აზრია, ვინც, ელემენტარულად, დილეტანტია და რუსული პოლიტიკა ისე იცის, როგორც მე და თქვენ – მონღოლეთში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია. მეტ კომენტარს არ გავაკეთებ.

***— თქვენ მითხარით, ახალციხეში ნატოს წვრთნებს ვესწრებიო. რა წვრთნებია?***

— საქართველოსა და პოლონეთის საელჩოს ერთობლივი ღონისძიებაა იმაზე, რა არის დეზინფორმაცია, რა არის საინფორმაციო ომი.

***— როგორც ვიცი, თქვენ პოლონეთთან მჭიდრო ურთიერთობები გაქვთ და ბოლო დროს მნიშვნელოვანი ჯილდო გადმოგცეს. რა ჯილდოა?***

— პოლონეთის მთავრობის ყველაზე მაღალი სახელმწიფო ჯილდოა მეცნიერებაში, ტექნოლოგიასა და უმაღლეს განათლებაში შეტანილი სახელმწიფოებრივი წვლილის შეტანის აღნიშვნისთვის. ამ შემთხვევაში მეცნიერული მიმართულებაა უსაფრთხოების კვლევები, სამხედრო პოლიტოლოგია და პოლიტიკური მეცნიერებები. ამ მიმართულებით შეტანილი წვლილისთვის პოლონეთის მთავრობამ მაღალი ჯილდო გადმომცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „რუსებს შეტევითი პერსპექტივები აღარ აქვთ“

## „ჰესის აფეთქება მძიმე სიტუაციაა, მაგრამ ჩვენ ვემზადებოდით ამგვარი სცენარებისთვის“

მარიამ მჭედლიშვილი



**კახოვკის ჰიდროელექტროსადგურზე მომხდარის მიუხედავად, უკრაინის შეიარაღებული ძალები კონტრშეტევისათვის ემზადებიან. რისთვის ააფეთქეს რუსებმა კახოვკის ჰიდროელექტროსადგური? მზად არიან თუ არა ისინი ყირიმის დასათმობად? — ამ და სხვა თემებს უკრაინულ მედიასთან აანალიზებს გენერალი ნიკოლაი მალომუჟი, რომელიც 2005-2010 წლებში უკრაინის საგარეო დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობდა.**

*— კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის ჯებირის აფეთქებისას ჰქონდა თუ არა ოკუპანტს სამხედრო მიზნები თუ მას უკრაინაში ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა სურდა?*

— მტერი ორიენტირებულია იმაზე, რომ დღეს მას აღარ აქვს შეტევითი ოპერაციების სტრატეგიული პერსპექტივები და თავდაცვაზე გადადის. მათ ისიც ესმით, რომ ამჟამად უკრაინა განსაზღვრავს თავისი შეტევითი ოპერაციების სექტორებს.

რუსები მიიჩნევენ, რომ სამხრეთის დერეფანი და ყირიმთან გასასვლელი მათთვის სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უკრაინის აღმოსავლეთი. იქ მათ ჯერ კიდევ აქვთ პირდაპირი კომუნიკაცია რუსეთთან. აქ, თუ უკრაინის არმია წარმატებულ შეტევით ოპერაციებს ახორციელებს ზაპოროჟიესა და ხერსონის მიმართულებით, ის შეძლებს ყირიმში შესვლას. შესაბამისად, ჩვენ შევქმნით არა მარტო სამხრეთის, არამედ, ყირიმის გათავისუფლების პირობებს. რუსეთისთვის ეს არის სტრატეგიული ჩავარდნა.

*— როგორ შეუძლია მტერს უკრაინის არმიის სტრატეგიული კონტრშეტევის შეკავება სამხრეთში?*

— რუსეთს საკმარისი შეიარაღებული ძალები არ ჰყავს. მისი ძირითადი ნაწილები და საბრძოლო საშუალებები მოშლილი და გამოლეულია. დარჩათ 3 ფაქტორი: კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის აფეთქება და რეგიონის დატბორვა, შემდეგ ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისათვის მზადება და შანტაჟი და მესამე – ბირთვული იარაღის გამოყენება მაშინ, როცა უკრაინის არმია წარმატებულ იერიშზე გადავა. ეს არის ჰიპოთეტური ნაკლებად სავარაუდო ვარიანტი.

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის აფეთქება დაკავშირებულია მათ ვარაუდთან, რომ კონტრშეტევა დღეს-ხვალ დაიწყება. სამხედრო ფორმატში ამას ჩვენთვის გლობალური მნიშვნელობა არა აქვს. რეგიონების დატბორვა რამდენიმე დღით გადასწევს ჩვენი ჯარების კონტრშეტევას. ეს გარკვეულ პერსპექტივებსაც გვაძლევს, ვინაიდან რუსეთის ჯარებისა და სიმაგრეების ნაწილი დაიტბორა. ეს შეზღუდავს მათი მანევრების შესაძლებლობას. ეს არის ველი უკრაინის საქმიანობისათვის – შეგვიძლია გამოვიყენოთ საცეცხლე საშუალებები, გადავსხათ დესანტი, გვაქვს საშუალება, გადავადგილდეთ ხმელეთზე, რომელიც არ დატბორილა, შეგვიძლია მოვახდინოთ ფორსირება დნეპრზე, სადაც რუსების პოზიციები შესუსტებულია. რასაკვირველია, ასევე შეგვწევს ძალა, გავაგრძელოთ შეტევითი მოქმედებები დატბორილ რეგიონებში, სადაც წყალი 3-5 დღეში დაიწევს.

*— ჯერ კიდევ შარშან საუბარი იყო იმაზე, რომ კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის აფეთქების შემთხვევაში ყირიმი შეიძლება 10-15 წლით უწყლოდ დარჩეს. ნიშნავს თუ არა მომხდარი იმას, რომ დღეს კრემლი მზადაა, დათმოს ყირიმი სხვა მიზნების მისაღწევად?*

— დღეისათვის ისინი არ არიან მზად, ჩააბარონ ყირიმი. ისინი წაგებისთვისაც არ არიან მზად. უკრაინელთა წარმატებული კონტრშეტევა სამხრეთში და ყირიმის დაკავება რუსებისთვის სრული ჩავარდნა იქნება. ისინი გამოდიან იქიდან, დღეისათვის რაც უფრო სასიცოცხლოდ საშიშია.

დღეს რუსებისთვის სასიცოცხლოდ საშიშია ჩვენი კონტრშეტევითი ოპერაციები სამხრეთში. მათთვის ყველაზე აქტუალურია, გაანადგურონ უკრაინის შეიარაღებული ძალები. ამას ცდილობენ კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის აფეთქებით.

ჰიდროელექტროსადგურის აფეთქება მძიმე სიტუაციაა, მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებდით ამგვარ სცენარებს და ვემზადებოდით.

შეტევისთვისაც მზად ვართ და ევაკუაციისათვისაც. ყირიმისთვის სიძნელეები იქნება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყირიმი ადრეც აღმოჩენილა მსგავს მდგომარეობაში, როცა ჩვენ წყალს აღარ ვაწვდიდით. მაშინ ყირიმში აამოქმედეს შიდა რესურსები.

როცა ყირიმს გავათავისუფლებთ, ნაწილობრივ აღდგება წყლის მიწოდება არხიდან. იმ დროისათვის წყლის მოხმარება შემცირდება, ვინაიდან ყირიმში ჩასახლებული 700 ათასი რუსი დატოვებს ნახევარკუნძულს.

საზოგადოება

# დავით ნარმანია: „მინიმუმ 1-1.5 წელი ელექტროენერგიის სექტორში ტარიფების ზრდა მოსალოდნელი არ არის“



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) თავმჯდომარე დავით ნარმანიას განცხადებით, სემეკმა მოქალაქეებს არასწორად დარიცხული და ასევე, ხანდაზმული დავალიანების სახით გასულ წელს, 1.4 მლნ ლარამდე თანხა ჩამოაწერა.

ამასთან, როგორც სემეკის თავმჯდომარემ მედიაცენტრ „მთავარში“ განაცხადა, მინიმუმ, 1-1.5 წელი ელექტროენერგიის სექტორში ტარიფების ზრდა მოსალოდნელი არ არის.

– არასწორად დარიცხული ან ზედმეტად დარიცხული, ან ხანდაზმული დავალიანების სახით, კომისიის მიერ, 1.4 მლნ ლარამდე იქნა ჩამოწერილი. კომპენსაცია, მეტწილად, ელექტროენერგიის სექტორში გაიცა, ხოლო ჩამოწერილი თანხებიდან ხანდაზმული დავალიანებები ჭარბობს. რაც შეეხება ტარიფებს, სამომხმარებლო ტარიფები უკვე დიდი ხანია უცვლელია. მინიმუმ, 1-1.5 წელი ელექტროენერგიის სექტორში ტარიფების ზრდას არ ველოდებით. ბუნებრივ აირზე კი უფრო ხანგრძლივი პერიოდი გვაქვს დადგენილი, – განაცხადა ნარმანიამ.

# ერთ თვეში საქართველოს საერთაშორისო რეზერვები შემცირდა



საქართველოს საერთაშორისო რეზერვები კვლავ მაღალ ნიშნულზეა, თუმცა ბოლო ერთ თვეში შემცირდა.

კერძოდ, აპრილში, 2023 წლის 30 აპრილისთვის მთლიანმა რეზერვებმა 5,133 მლრდ დოლარი შეადგინა, 31 მაისის მონაცემებით კი – 5,005 მლრდ დოლარი. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი რეზერვები 1.1 მლრდ დოლარით არის გაზრდილი. 2022 წლის მაისში, ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები, მხოლოდ 3,885 მლრდ დოლარს შეადგენდა.

რაც შეეხება რეზერვების სტრუქტურას, უცხოურ ვალუტაში კონვერტირებული საერთაშორისო რეზერვები ეროვნული ბანკის ძირითად რეზერვს წარმოადგენს და 2023 წლის 1-ლი მაისის მდგომარეობით 4,547 მლრდ დოლარს შეადგენს, მაშინ, როცა 1-ლი აპრილისთვის 4,661 მლრდ აშშ დოლარი იყო, ანუ შემცირება ამ ნაწილში 114 მლნ დოლარია. რაც შეეხება სხვა სარეზერვო აქტივებს, ის 3,567 მლნ დოლარს შეადგენს.

რეზერვების კიდევ ერთი კომპონენტი ოქროა, რომელშიც ეროვნული ბანკი სახსრებს არ ინახავს.

# რომელი ავიაკომპანიით გაფრინდა პრეზიდენტი ბრიუსელში „აირზენასთვის“ გამოცხადებული ბოიკოტის შემდეგ



საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს ბელგიის სამეფოში ვიზიტისას ქართული ავიაკომპანიის მომსახურებით არ უსარგებლია.

ცნობისათვის, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „აირზენას“ ბოიკოტი მას შემდეგ გამოუცხადა, რაც ავიაკომპანიამ რუსეთის მიმართულებით ფრენების აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რომელი ავიაკომპანიის მომსახურებით ისარგებლა პრეზიდენტმა ბელგიის სამეფოში ოფიციალური ვიზიტის დროს.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 2023 წლის 29 მაისიდან პირველი ივნისის ჩათვლით ბელგიის სამეფოში, ქ. ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის განხორციელებისას ისარგებლა ავიაკომპანია „საფრანგეთის ავიახაზების“ (Air France) მომსახურებით.

შეგახსენებთ, რუსეთის მიერ ავიასანქციების მოხსნის შემდეგ ქართულმა ავიაკომპანია „აირზენამ“ 20 მაისს თბილისი-მოსკოვის მიმართულებით პირველი პირდაპირი რეისი შეასრულა. პრეზიდენტის ბოიკოტის შემდეგ კი Georgian Airways-მა პრეზიდენტი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.

# მარნეულში არასრულწლოვანი გოგონა მოიტაცეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ჯ.ჰ. და 1981 წელს დაბადებული გ.ა. არასრულწლოვნის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დააკავეს.

როგორც შსს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 7 ივნისს, მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ჯ.ჰ.-მ, ცოლად შერთვის მიზნით, 2007 წელს დაბადებულ ს.კ.-ს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა. აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობდა ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებული გ.ა.-ც. პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გატაცებული გოგონას ადგილსამყოფელი დაადგინა. სამართალდამცველებმა ჯ.ჰ. და გ.ა. ბრალდებულის სახით დააკავეს.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

კალეიდოსკოპი

# ყვავილოვანი კომბოსტოს გამო მამაკაცი დააპატიმრეს

ბრიტანეთის ეივონის საგრაფოს ქალაქ დაუნენდის მცხოვრები იმან აღაშფოთა, რომ დაბადების დღეზე ყვავილოვანი კომბოსტოსა და ყველისგან მომზადებული კერძი მიართვეს. ის ამის გამო თავს დაესხა შეყვარებულს და შედეგად თავი გისოსებს მიღმა ამოყო.

– სასამართლოში ქალმა განაცხადა, რომ 46 წლის ტიმოთი რობინსონი საზეიმო სუფრის დროს ნამდვილ „კინგ-კონგს“ დაემსგავსა. თვალებში ჩავხედე და ვკითხე: „გინდა, ნამდვილი ტიმოთი ნახო?“ ამის პასუხად მან პურის საჭრელ დანას დასტაცა ხელი და ქალს სახესთან მიუტანა. მეგობარმა ქალმა მამაკაცს დანიანი ხელი დაუჭირა, მაგრამ ამის პასუხად ის მას მეორე ხელით ყელში სწვდა და თითები მოუჭირა, – წერია სამართალდამცავების მიერ შედგენილ ოქმში.

რობინსონმა თავი დამნაშავედ ცნო ორ ადამიანზე თავდასხმაში, დახრჩობის მცდელობაში, სხეულზე დაზიანებების მიყენებასა და დანის გამოყენებით მუქარაში. მოსამართლე მაიკლ ლონგმანმა მამაკაცს ორი წლითა და ცხრა თვით პატიმრობა მიუსაჯა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მეცნიერმა ზღვის ფსკერზე 93 დღე გაატარა და 10 წლით გაახალგაზრდავდა



უნივერსიტეტის პროფესორმა და ყოფილმა საზღვაო ოფიცერმა ჯოზეფ დიტურიმ წყლის ქვეშ რეკორდული 93 დღე გაატარა და გაახალგაზრდავდა.

პროფესორი დიტური, რომელსაც დოქტორი ღრმა ზღვა შეარქვეს, ზღვის სიღრმეში სამეცნიერო ექსპერიმენტის ფარგლებში ჩაეშვა, რომელსაც უნდა ეჩვენებინა, თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე მაღალი წნევა. დიტური ზღვის ფსკერზე „ჯულსის წყალქვეშა რეზიდენციაში“ დასახლდა, რომელიც ფლორიდაში ლაგუნა კილარგოს ფსკერზე ცხრა მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. წყალქვეშა ნავებისგან განსხვავებით, იქ არ გამოიყენება ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ადამიანებს მაღალ წნევასთან შეგუებაში ეხმარება. მისია, რომელსაც სახელად „ნეპტუნი 100“ ეწოდა, 9 ივნისს სრულდება, მას შემდეგ, რაც მეცნიერი 100 დღეს გაატარებს წყლის სიღრმეში.

ექსპერიმენტის 93-ე დღეს მეცნიერებმა პროფესორის სასიცოცხლო მაჩვენებლები შეამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ თითქოსდა მამაკაცი 10 წლით გაახალგაზრდავდა. აღმოჩნდა, რომ მისი დნმ-ის თანმიმდევრობა, რომელიც მიმაგრებულია ქრომოსომების ბოლოებზე, 20 პროცენტით გრძელია, ვიდრე ეს იყო მისი წყლის სიღრმეში ჩაშვებამდე. ამასთანავე, ღეროვანი უჯრედების რაოდენობა ორგანიზმში ცხრაჯერ გაიზარდა. ღამით ღრმა ძილის ფაზამ 60-დან 66 პროცენტამდე შეადგინა, ანთების მარკერები ორჯერ შემცირდა, ხოლო ქოლესტერინის დონემ 72 პუნქტით დაიწია.

ამ ცვლილებებს მეცნიერები უკავშირებენ მაღალ წნევას წყლის სიღრმეში, რომელსაც, როგორც ცნობილია, მთელი რიგი დადებითი ეფექტები გააჩნია. ასეთი სახის თერაპიას იღებენ ის ადამიანები, რომლებიც ჰიპერბარიულ კამერებს იყენებენ.

# მძღოლს, რომელმაც თბილისში სამი ადამიანი იმსხვერპლა, 9-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

თბილისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე დაკავებულ პირს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ავარიას 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაშავდა ორი.

სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დადგინდა, რომ 2021 წლის 12 ივნისს, კრწანისის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბრალდებულმა, რომელიც დასაშვებ ნორმაზე მეტი ტვირთით დატვირთულ ავტომობილს მართავდა, ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, დაღმართზე დიდი სიჩქარით მოძრავი 5 ავტომანქანას დაეჯახა, გაარღვია დამცავი ჯებირი და კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსის" ეზოში ჩავარდა.



პროკურატურამ დანაშაულის ჩამდენ პირს ბრალდება 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-8 ნაწილით (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევა, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ორი ადამიანის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია) წარუდგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

# პროკურატურამ არასრულწლოვანი შშმ პირის მიმართ ჩადენილი მუქარის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ არასრულწლოვანი შშმ პირის და მისი მშობლის მიმართ ჩადენილი მუქარის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი სოციალური ქსელით პროტესტს გამოთქვამდა შშმ პირების მიმართ განხორციელებული შესაძლო სექსუალური ძალადობის ფაქტებზე, რის გამოც ბრალდებული სიცოცხლის მოსპობით და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა მას და მის მშობელს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 7 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (მუქარა, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის და შშმ პირის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

# მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები აღმოაჩინეს

საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სარფში" კანონდარღვევის 3 ფაქტი აღიკვეთა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.



უწყების ცნობით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში, 43.460,34 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა: 451,89 გრამი) აღმოაჩინეს.

კანონდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა, ხოლო კანონდამრღვევ საქართველოს მოქალაქეს, 168-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით ფულადი ჯარიმა 7.573,59 ლარის ოდენობით შეეფარდა.

# პირი, რომელმაც მეგობარს დანით სხეულზე დაზიანებები მიაყენა, ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ ცნეს

ნაფიცმა მსაჯულებმა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ფაქტზე, რომელიც 2022 წლის 30 სექტემბერს მოხდა, ბრალდებული დამნაშავედ ცნეს.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახით 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

სასამართლო პროცესზე დადგინდა, რომ დაზარალებულს ბრალდებულთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა. 2022 წლის 30 სექტემბერს, მათ ბრალდებულის სახლში იჩხუბეს, რა დროსაც ბრალდებულმა



მსხვერპლს დანით სხეულზე დაზიანებები მიაყენა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით, გვამი სახლიდან გარეთ გაიტანა და ნაგვის ურნასთან დატოვა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ წარადგინა მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენასა და პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის მიზნით მის შემდგომ მოქმედებას ადასტურებდა.

ნაფიცი მსაჯულები, საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების დეტალურად შესწავლის შემდეგ, დარწმუნდნენ პროკურატურის პოზიციის მართებულობაში და ბრალდებული სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „მ" ქვეპუნქტით (განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახი მკვლელობა) დამნაშავედ ცნეს.

სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახით 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

# დაკავებულია 16 ადამიანი — უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის საქმე



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის, აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის 22 ფაქტი გამოავლინეს, რაზეც ბრალდებულის სახით 31 პირი პასუხისგებაში მისცეს, მათგან 16 პირი დააკავეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი სხვადასხვა დასახელების, ჯამში, 30.042 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 148.000 ლარს აღემატება.

აღნიშნული დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 6-დან 8 წლამდე ვადით.

# პოლიციამ გორში მომხდარი ეკლესიის გაქურდვის ფაქტი გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი მ.გ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, გორში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესია გაქურდა, საიდანაც უკანონოდ დაეუფლა ფულს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე დააკავეს.

დაკავებულმა მის მიერ ჩადენილი კიდევ 4 ეკლესიის გაქურდვის ფაქტი აღიარა, საიდანაც უკანონოდ დაეუფლა ფულსა და წმინდა გიორგის გამოსახულების მედალიონს.

პოლიციამ ეკლესიებიდან მოპარული თანხის ნაწილი, ასევე წმინდა გიორგის გამოსახულების მედალიონი ნივთმტკიცების სახით ამოიღო. სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევის გზით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# ქობულეთში ავარიაში 25 წლის მამაკაცი დაიღუპა

ქობულეთში ავარიას 25 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა. როგორც TV25 წერს, შემთხვევა 7 ივნისს სოფელ ლელვაში მოხდა.

არსებული ინფორმაციით, მანქანა, რომელსაც ახალგაზრდა მართავდა, ხიდის ჯებირს შეეჯახა. კაცი სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

# მეჯვრისხევში ავტომობილი მოტოციკლს შეეჯახა

მეჯვრისხევში ავტომობილი მოტოციკლს შეეჯახა, დაშავდა 2 პირი. ინფორმაციას რეგიონული მედია „მოზაიკა" ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, მძღოლი ავტომობილს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა, რა დროსაც გაჩერებულ მოტოციკლს დაეჯახა. დაშავებულები კლინიკაში გადაიყვანეს.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

# პოლონეთში ბინების ძარცვისთვის საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

პოლონეთში დააკავეს საქართველოს ორი, 37 და 42 წლის მოქალაქე, რომლებიც ბინებისა და საცხოვრებელი სახლების არაერთ ძარცვაში არიან ეჭვმიტანილნი.



ინფორმაციას პოლონეთის პოლიცია ავრცელებს.

მძარცველები ხშირად იცვლიდნენ იმიჯს, თავს ყვავილების გამყიდველებად ან მშენებელ მუშებად ასაღებდნენ და ამ გზით პოლიციას გზა-კვალს ურევდნენ.

პოლონეთის პოლიციის ცნობითვე, ერთ-ერთი დაკავებული ინტერპოლის წითელი ცირკულარით სხვა დანაშაულის ჩადენისთვის იძებნებოდა.

დაკავებულების მანქანიდან პოლიციამ 200.000 ზლოტის ნაღდი ფული და ძვირფასეულობა ამოიღო.

ორივე დაკავებული ლუბლინის სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება. ქურდობა 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# ამირან შალიკაშვილის სახლ-მუზეუმს საფრთხე ემუქრება

პანტომიმის თეატრის დამაარსებლის ამირან შალიკაშვილის სახლ-მუზეუმს საფრთხე ემუქრება.

ინფორმაცია უმცროსმა **ამირან შალიკაშვილმა** გაავრცელა:



– მინდა გაცნობოთ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საკითხი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს შეიძლება შეგვეხოს! ერთი უცხოური ბანკის შესახებ. არსებობდა თიბისი ბანკი, რომელიც მსგავს საქმეებში იყო ჩართული და ხალხს აშავებდა, მოტყუებით ართმევდა ქონებას, მე მგონი, ყველას გვახსოვს! ამ უცხოურ ბანკს აქვს ბევრი დარღვევა ჩემ მიმართ, მე არაფერი დამირღვევია, გამიზნულად შეკრეს საქმე და უნდათ ქონების წაღება, თან აქ არის ამირან შალიკაშვილის სახლ-მუზეუმზე საუბარი და არა ჩემს პირად ქონებაზე!

მე მშენებლობის ნებართვა მომცეს შალიკაშვილის სახელის გამო, ამათ გამოიყენეს ჩემი სახელი და დაიწყეს მოქმედება. მივმართავ ყველას, ვინც მსგავს საქმეშია გახვეული, ასევე – შესაბამის სტრუქტურებს, რომ ჩაერთონ და ამოიღონ სესხის გაცემის ყოველი საბუთი, კარგად გამოჩნდება, ვინ შეკრა ქეისი თავიდანვე, რომ ქონება წაიღონ. მე ამ ქონების გაყიდვის უფლება არა მაქვს და ამიტომაც ვიბრძოლებ ბოლომდე, სანამ ჩემს სიმართლეს არ დავამტკიცებ! ვთხოვ ტელევიზიებს, დაინტერესდნენ ამ საკითხით და აუცილებლად უნდა შევიდეს აუდიტი და შეამოწმონ მათი ქეისები, რა მიზნით და რის საფუძველზე მომცეს სესხი და შემდეგ გამიუქმეს შუა გზაში იმის გამო, რომ მე პროექტი არ დამესრულებინა!

23 წელი ერთი დღე დარღვევა არ მქონია. ეს არის გამიზნული ქონების ახევა (უკაცრავად ჟარგონისთვის)!

პ.ს. საქმე ის არაა, როგორ დაიწყებ, საქმე ისაა, თუ როგორ დაამთავრებ! მე გამწირა ბანკმა, თან ყალბი საბუთებით! მალე მოგიყვებით დაწვრილებით.

წინასწარ მადლობა, ვინც გვერდით დამიდგებით და ქვეყანას შეუნარჩუნებთ ამირან შალიკაშვილის სახლ-მუზეუმს.

მოთამაშეს შეფასება არ უნდა, შეაფასეთ თამაში, რომელსაც თაღლითურად თამაშობენ!

მე ვიტყვი, რომ ქვეყანა დალაგდა და გასუფთავდა ასეთი ფაქტებით, თუმცა უცხო მოქალაქეები ჩადიან ამ დანაშაულს! როგორც შერჩა ხაზარაძეს, ეგრე არ შეგრჩებათ. სხვა დროა! ეს საბოლოოდ უნდა დასრულდეს და მე ამას დავასრულებ!

პანტომიმის თეატრის დამაარსებლის სახლ-მუზეუმის მითვისება უნდათ თაღლითური გზით! ჩემი მორევა გადაწყვიტეს, თუმცა ტყუილი და ბოროტება ცოტა ხნით იმარჯვებს და საბოლოოდ სიმართლე და სიკეთე ყოველთვის გაიმარჯვებს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# რატომ ბომბავს რუსეთი უკრაინას?!

კახოვკის ჰესის აფეთქება შემთხვევითი არ ყოფილა. კარგა ხანია ლამის ყოველდღე უკრაინაში საჰაერო განგაშის ხმა ისმის. ოკუპანტები იყენებენ როგორც ავიაბომბებს, ისე რაკეტებს. მათ რუსეთის ტერიტორიიდან, კერძოდ, კასპიის ზღვის სანაპიროდან უშვებენ.

დაბომბვით რუსებს სურთ, შეაფერხონ უკრაინელთა მასირებული კონტრშეტევა.



არახალია, რომ რუსეთის არმია სისხლისაგან დაცლილია. ეს ნათლად გვიჩვენა ფრონტზე შექმნილმა მდგომარეობამ. უკანასკნელი დღეების განმავლობაში უკრაინელები დაეუფლნენ ინიციატივას. მათ გაათავისუფლეს რიგი დასახლებული პუნქტი როგორც დონბასში (ოპიტნოე, გრანიტნოე, ნოვოდონეცკი), ისე ზაპოროჟიეს ოლქში. უკრაინული არმიის წინსვლა შეინიშნება ფრონტის ისეთ კრიტიკულ უბანზე, როგორიცაა ბახმუტი. აქ უკრაინულმა არმიამ უკვე 1.600 მეტრით წაიწია წინ. დაბომბვა ოკუპანტების ერთადერთი ბერკეტია. ამით მათ სურთ, შეაჩერონ უკრაინელების წინსვლა.

მეორე მიზანი უკრაინელთა ზურგში მოთავსებული იარაღის საწყობების ლიკვიდაციაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასავლური სამხედრო ტექნიკის განადგურებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, პეტრიოტის სისტემის რაკეტებსა და ტანკებს შეეხება. ამან შეუძლებელი უნდა გახადოს უკრაინული კონტრშეტევა და უკრაინელთა სატანკო გარღვევები ფრონტზე.

მესამე მიზანი უკრაინაში ქაოსისა და დეზორგანიზაციის გამოწვევაა. განუწყვეტელმა დაბომბვებმა უნდა განამტკიცოს უკრაინელებში რწმენა იმისა, რომ პეტრიოტები თუ სხვა დასავლური ტექნიკა ფრონტზე ვერავითარ გარდატეხას ვერ შეიტანს. პირიქით, ამით ყოველი უკრაინული ქალაქი და უკრაინის თითოეული მოქალაქე მტრის სამიზნე გახდება. თუ მსგავსი განწყობილებები გაძლიერდება, ეს ძლიერ იმოქმედებს როგორც არმიის ბრძოლისუნარიანობაზე, ისე საზოგადოების საერთო განწყობაზე. გამარჯვების რწმენადაკარგული ქვეყანა კი მარცხისათვისაა განწირული.

მეოთხე მიზანია უკრაინელებში პაციფისტური განწყობილებების გაღვივება. განუწყვეტელი დაბომბვებით გაწამებულმა ხალხმა მთავრობას სამშვიდობო შეთანხმების დადება უნდა მოსთხოვოს, წააქეზოს ჯარისკაცები დეზერტირობისაკენ და ა.შ.. უკრაინის მოქალაქეების უმრავლესობას უნდა დაეუფლოს განწყობა, რომ ტყუილად იბრძვიან, რადგან ამა ქვეყნის ლიდერებს მათი ბედი ისედაც გადაწყვეტილი აქვთ.

მეხუთე მიზანი სეპარატიზმის გაღვივებაა. დონბასს უნდა დაემატოს როგორც უკრაინის სამხრეთი, ისე მთელი აღმოსავლეთი უკრაინა (დნეპრი, ხარკოვი, აგრეთვე იმიერკარპატისპირეთი და ბუკოვინა, ასევე დასავლეთი რეგიონი (ლვოვი, უჟგოროდი, ჩერნოვცი). მსგავსი განწყობილებები შემდეგმა ვითარებამ უნდა გააღვივოს: არც ევროკავშირი და არც ნატო უკრაინის გამო არ იომებენ; ისინი მხოლოდ იარაღს მიაწვდიან და პოლიტიკურ თუ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ, პუტინს კი ამით ვერ შეაჩერებ; დაბომბვებიც გაგრძელდება და გაძლიერდება. ამიტომ, თუ გვსურს, გადავრჩეთ, უკრაინის თითოეულმა რეგიონმა თავისი ბედი თავად უნდა გადაწყვიტოს და კიევისაგან დამოუკიდებლად მოსკოვთან მოლაპარაკებები დაიწყოს.

აი, ძირითადი მიზნები, რის გამოც რუსეთმა უკრაინაში დაბომბვები გაააქტიურა. უკრაინასაც დღეს, როგორც არასოდეს, ესაჭიროება ნაციონალური კონსოლიდაცია, ერთიანობა და ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა.




## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი განცხადებას ავრცელებს

კახოვკის ჰესის აფეთქებამ მთელი მსოფლიო შეძრა. წყალქვეშ აღმოჩნდა უამრავი დასახლებული პუნქტი. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა:

– აშშ მზადაა, დაეხმაროს უკრაინას ხერსონის ოლქიდან მოსახლეობის ევაკუაციაში, – ნათქვამია განცხადებაში.

## ზელენსკისა და ერდოღანის სატელეფონო საუბარი შედგა



უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკისა და მისი თურქი კოლეგის ერდოღანის სატელეფონო საუბარი შედგა. ის ძირითადად კახოვკის ჰესის აფეთქების საკითხს მიეძღვნა.

ერდოღანმა უკრაინას სოლიდარობა გამოუცხადა და გამოთქვა მზადყოფნა, რომ თურქებმა ხერსონის ოლქიდან მოსახლეობის ევაკუაციაში მიიღონ მონაწილეობა. ზელენსკიმ თურქეთის პრეზიდენტს მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა.

## პოზიტიური ცვლილებები ბახმუტში

ბახმუტში უკრაინული არმია წინსვლას განაგრძობს. უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარის ცნობით, უკრაინელებმა კიდევ რამდენიმე ქუჩა დაიკავეს.

„ვაგნერის“ შეფი პრიგოჟინი აცხადებს, რომ ბახმუტის ფრონტზე ვითარება კრიტიკულია. პრიგოჟინმა რუსეთის დიქტატორ პუტინს მიმართა:

– ბახმუტის დაკარგვის საფრთხე რეალურია! მომეცით 200.000 მეომარი და მდგომარეობას გამოვასწორებ! – გაჰკივის პრიგოჟინი.




## რატომ ააფეთქეს კახოვკის ჰესი?!

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის აზრით, კახოვკის ჰესი რუსმა ოკუპანტებმა ააფეთქეს. მიზეზი მარტივია: უკრაინული არმია ხერსონის ოლქში დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და უკრაინელები დნეპრის ფორსირებისათვის ემზადებოდნენ.

– კახოვკის ჰესის აფეთქება დნეპრის ფორსირებას შეუძლებელს ხდის, – აცხადებს აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ჰესის აფეთქება ხერსონის ოლქის მთელ ლანდშაფტს შეცვლის. ეს კი, ამერიკელი სპეციალისტების აზრით, უკრაინელების შეტევას გაართულებს.

## რუსეთმა დონბასზე 28 ავიაციური და 2 სარაკეტო დარტყმა განახორციელა

ბახმუტის გარდა, მწვავე ბრძოლებია დონბასშიც. რუსეთმა დონბასზე განახორციელა 28 ავიაციური და 2 სარაკეტო დარტყმა.

ვითარება გამოსწორდა დონბასის ყველაზე ცხელ წერტილებში, ავდეევკასა და მარინკაში. ავდეევკასთან უკრაინული ნაწილები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. რაც შეეხება მარინკას, იქ რუსების წინსვლა შეჩერებულია. მართალია, ქალაქი მთლიანად დაინგრა და იქ არცერთი მაცხოვრებელი აღარ დარჩა, მაგრამ მის ნაწილს კვლავ უკრაინელები აკონტროლებენ.

რაც შეეხება უგლედარს, იქ უკრაინელები წინსვლას განაგრძობენ. ოკუპანტები უკან იხევენ. მსგავსი სურათია სამხრეთ დონბასშიც. უკრაინელთა შეტევების შედეგად ოკუპანტები უკან იხევენ.

კახოვკის ჰესის აფეთქებამ უკრაინის მთელ სამხრეთ რეგიონში კატასტროფული ვითარება შექმნა. წყალქვეშ აღმოჩნდა 29 დასახლებული პუნქტი. უამრავმა ადამიანმა დაკარგა სახლ-კარი და ქონება.

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ მოსახლეობა ხერსონის ოლქიდან გაიყვანოს.

რაც შეეხება მდგომარეობას ფრონტზე, ის შემდეგნაირია: ბრძოლები ძირითადად ზაპოროჟიეს ოლქში მიმდინარეობს. უკრაინელები მტრის შევიწროებას განაგრძობენ. ოკუპანტებისაგან გათავისუფლებულია რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

# ლეო მესი: „ბარსელონიდან წასვლა არასდროს მესურდა“

**ლეო მესიმ არჩევანი გააკეთა — არგენტინელი ფეხბურთელი ინტერ მაიამიში ითამაშებს. ლეოს ბარსელონასაც უკავშირებდნენ, მაგრამ კარიერის გაგრძელება ამერიკაში არჩია. ახლა კი მისი ინტერვიუ, რომელიც ესპანურ მედიაში გამოქვეყნდა.**

***– როგორ არის ლეო მესი?***

– კარგად. სიმართლე ისაა, რომ კარგად ვარ. სეზონი დასრულდა. ეს წელი განსხვავებული იყო – მსოფლიო ჩემპიონატი შუა სეზონში ვითამაშეთ. ამ ფაქტმა ბევრი რამ შეცვალა. ახლა უკვე ეროვნულ ნაკრებში გასამართ მატჩებსა და შვებულებაზე ვფიქრობ.

***– სეზონი დასრულდა და პარი სენ-ჟერმენს არც ისე ცუდი ციფრებით ტოვებთ.***

– პარიზს შერეული შეგრძნებებით ვტოვებ. პირველი წელი ძალიან რთული იყო. მეორე სეზონის პირველმა ნახევარმა ძალიან კარგად ჩაიარა, შემდეგ კი იყო მსოფლიო ჩემპიონატი, რომელმაც, ჩემი აზრით, ყველა გუნდზე მოახდინა გავლენა და სეზონის მეორე ნახევარი განსაზღვრა. ველოდი, რომ ეს სხვანაირად დასრულდებოდა. რთული ორი წელი იყო... მაგრამ ყველაფერი უკან მოვიტოვეთ.

***– ბარსელონა გენატრებოდათ?***

– რა თქმა უნდა, კლუბი ძალიან მენატრებოდა. განსაკუთრებით პირველ წელს, როდესაც პარიზში რთული პერიოდი მქონდა.

***– ვფიქრობთ, როგორც კულეს, ძალიან გაგიხარდათ, რომ ბარსამ ლა ლიგა მოიგო.***

– რა თქმა უნდა. გუნდს მთელი სეზონი ვაკვირდებოდი. როგორც ყველა კულეს, მეც მინდოდა, ბარსას ლა ლიგა მოეგო. პირველ სეზონში ზოგიერთი მატჩის შემდეგ ჩავის ვესაუბრებოდი. დაბრუნება ნამდვილად მინდოდა, ძალიან მონდომებული ვიყავი, მაგრამ არ მინდოდა, იმავე სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი, რაშიც ბარსას დატოვებისას აღმოვჩნდი. არ მინდოდა, საკუთარი მომავალი სხვების ხელში დამეტოვებინა. მსურდა, გადაწყვეტილების მიღებისას საკუთარი თავი და ოჯახი გამეთვალისწინებინა. მესმოდა, რომ ლა ლიგამ ბარსელონის გეგმა დაამტკიცა და ჩემი დაბრუნება შესაძლებელი იყო, მაგრამ ამისთვის კიდევ ბევრი რამ უნდა მომხდარიყო. ბარსას ჩემ გამო ფეხბურთელები უნდა გაეყიდა და ზოგიერთისთვის ხელფასი შეემცირებინა, მე კი არ მსურდა, ამის მიზეზი გავმხდარიყავი.

ბარსელონაში თამაშის დროსაც ბევრ რამეს მაბრალებდნენ, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა და ამით დაღლილი ვიყავი. არ მინდოდა, ეს კიდევ ერთხელ გამომეცადა.

როდესაც ბარსა დავტოვე, ითქვა, რომ ლა ლიგამ ყველაფერი მიიღო, მაგრამ საბოლოოდ ჩემი დარეგისტრირება შეუძლებელი იყო. მეშინოდა, რომ ეს განმეორდებოდა: დავბრუნდებოდი პარიზში, სასტუმროში დიდ დროს გავატარებდი, ჩემი შვილები სკოლაში ივლიდნენ, მე კი კვლავ სასტუმროში ვიქნებოდი. მინდოდა, ჩემი გადაწყვეტილება მიმეღო. ბარსაში დაბრუნება სწორედ ამიტომ არ გამოვიდა.

ახლა მინდა, ოჯახზე უფრო მეტი ვიფიქრო. როგორც ვთქვი, ბოლო ორი წელი ჩემთვის ოჯახურ დონეზე ძალიან რთული იყო. ერთთვიანი პე-



რიოდი, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ, არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ შემდგომი პერიოდი ძალიან რთული იყო. მინდა, თავიდან აღმოვაჩინო ჩემი თავი, ოჯახთან და ბავშვებთან ერთად სიამოვნება მივიღო.

***– დასახელებული მიზეზებიდან რომელმა იქონია მთავარი გავლენა გადაწყვეტილებაზე?***

– იმან, რომ იძულებული არ გავმხდარიყავი, მომეცადა და გამერისკა, რომ იგივე განმეორდებოდა, რაც ორი წლის წინ მოხდა. მინდოდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემდეგ, რაღაც სხვა მომეძებნა და სიმშვიდე მეპოვა.

***– ოჯახი თქვენს გადაწყვეტილებებზე დიდ გავლენას ახდენს. როგორ იღებენ ბავშვები ახალ სიტუაციას?***

– ჩემი ოჯახი ძალიან აღელვებული იყო იმ ყველაფრის გამო, რაც ესმოდა, მაგრამ, ამავე დროს, ილუზიები არ გვქონია, რადგან არ ვიცოდით, რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## ბიკინიში გამოწყობილმა კენდალ ჯენერმა ფანები აღაფრთოვანა



ამერიკელი მოდელი და ტელეწამყვანი კენდალ ჯენერი ბიკინიში გამოეწყო, საკუთარი სხეულის მშვენიერება წარმოაჩინა და ფანები აღაფრთოვანა.

28 წლის მანეკენმა საკუთარი ფოტოების სერია ინსტაგრამში განათავსა. ის მათში კამერის წინ საწოლში წევს და წითელ ბიკინიში გამოწყობილი პოზირებს. მასზე კარგად ჩანს, რომ ბიუსტჰალტერი მის მკერდს ოდნავ აშიშვლებს. ასევე სახისთვის შიშველი ფერები აქვს შერჩეული, თმა კი – გაშლილი.

თაყვანისმცემლები კენდალის გარეგნობამ აღაფრთოვანა და ეს ყოველივე ფოტოსურათების, რომლებმაც 4 მილიონზე მეტი მოწონება დაიმსახურა, საკუთარ კომენტარებში ასახეს. „ულამაზესი“, „ბრწყინვალე ფიგურა“, „ყველა მამაკაცისთვის საოცნებო“, „სურათებიდან ჩანს, თუ როგორი მხურვალე ზაფხული იქნება“, „ბრწყინვალედ გამოიყურები მაგ საცურაო კოსტიუმში“, – აღნიშნეს მოდელის თაყვანისმცემლებმა.

აღსანიშნავია, რომ ფოტოსესიის ავტორი უკრაინელი ფოტოგრაფი იულია გორბაჩენკოა, რომელიც აშშ-ში მოღვაწეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიური მედია ქართული ფეხბურთით დაინტერესდა

მეცისა და საქართველოს ნაკრების შემტევი გიორგი მიქაუტაძე იტალიური მედიის ყურადღების ქვეშ მოექცა. 22 წლის ჩვენებურს სტატია ამჯერად ცნობილმა გამოცემა ლა გაძეტა დელო სპორტმა მიუძღვნა.

ახალი კვარა? კითხულობს სტატიის ავტორი...

– მიქაუტაძე, რომელსაც ერთი პერიოდი ჟან პიერ პაპანს ამსგავსებდნენ, ლიონმა სიმაღლის გამო დაიწუნა, ახლა კი მეციმ ლიგა 1-ში გადაიყვანა. მიქაუტაძე დიდი ნახტომისთვის ემზადება და იმედოვნებს, რომ ისტორიაში შევა ისე, როგორც მისი ნეაპოლელი „ძმა“.

იტალიის ჩემპიონატში ხვიჩა კვარაცხელიას ბუმია, ტალანტები კი დედამიწის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ადგილებში იბადებიან. კვარა ამის ნათელი მაგალითია. გიორგი მიქაუტაძე კი შეიძლება გახდეს ქართველი №2, რომელიც იტალიის ახალ ჩემპიონს კვალში მიჰყვება მიზნით.

2000 წელს დაბადებული, საფრანგეთის მოქალაქეობის მქონე მიქაუტაძის ოჯახის თავგადასავალი დევნილობის ისტორიაა, რომელიც 1998 წლიდან იწყება. მაშინ მშობლები საქართველოდან საფრანგეთში რუსეთთან კონფლიქტის გამო გადაბარგდნენ. ლიონში, ჟან მასეს რაიონში მცხოვრები ჟორჟი პატარა ასაკიდან ფეხბურთით ცხოვრობს. ჟორჟი ლიონის აკადემიაში მოხვდა, მაგრამ ეს არის არშემდგარი სიყვარულის ისტორია. მიზეზი მისი ფიზიკური მონაცემები ხდება.

**გიორგი მიქაუტაძე:**

– მქონდა ტექნიკა, შემეძლო კარში დარტყმა, მაგრამ სულ რაღაც 140 სმ სიმაღლის, მეტისმეტად დაბალი ვიყავი.

მიქაუტაძემ ბოლო სეზონის 40 მატჩში 24 გოლი გაიტანა, 9 საგოლე პასი მიითვალა და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა ფეხბურთის დაუწერელი წესი: ნიჭი შესაბამისი აგებულების გარეშეც იმარჯვებს.

კულიბალის, მანეს, ადებაიორისა და პიანიჩის შემდეგ მეცის უკანასკნელი დიდი აღმოჩენა მიქაუტაძეა. მეცმა 16 წლის ასაკში სენ პრისტის ახალგაზრდული გუნდიდან გადაიყვანა. ამპლუით ცენტრფორვარდია, ყოველ შემთხვევაში, ციფრი 9 მის ზურგზე ამას მიანიშნებს. თუმცა, მისი თამაშის შემხედვარე, უფრო კლასიკური გარემარბია, რომელსაც თავისი „ძმის“, კვარას მსგავსად, უყვარს ცენტრიდან ფლანგისკენ გადანაცვლება, შემდეგ დაბრუნება და დარტყმა. მიქაუტაძის ნაპოლის №77-თან მსგავსებაში დასარწმუნებლად ჯობს, „იუთუბის“ ეწვიოთ. ის ყველანაირად ურტყამს – თავით, მარჯვენა ფეხით, მარცხენა ფეხით, საჯარიმოს გარედან.□



არაოფიციალური მონაცემებით, სხვადასხვა გუნდში 150 გოლი აქვს აქვს გატანილი. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ეს მოთამაშე მეტოქის კარს განსაკუთრებულად გრძნობს...

სენ პრისტში ყოფილი მწვრთნელი მას „ახალ ლაკაზეტს“ უწოდებდა, სხვები კი, მეტოქის დაცვის ხაზის გარღვევის ენერგიული უნარის გამო, პარალელებს პაპენთან ავლებდნენ. თავად მიქაუტაძის კერპები კი ზლატან იბრაჰიმოვიჩი და კრიშტიანო რონალდუ იყვნენ. ბედისწერამ ისე ინება, რომ 2021 წლის 26 მარტს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში (შვედეთი-საქართველო 1:0) მიქაუტაძის სანაკრებო დებიუტი შედგა მაშინ, როდესაც მისი კერპი მოედნიდან გადიოდა.

– როდესაც ნაკრებში მიმიწვიეს, არც კი დავფიქრებულვარ. ჩემი ოჯახი ძალიან ბედნიერი იყო ჩემ გამო.

ყველაზე დიდ სიამოვნებას საქართველოს ეროვნული გუნდის მაისურით თამაში ანიჭებს. მისი გოლის აღნიშვნის სტილი კრიშტიანუსას წააგავს, ზოგს ლუკმანის დურბინდი ახსენდება. სხვა მხრივ კი გიორგი ყოველთვის რჩებოდა ისეთად, როგორიც სინამდვილეშია. ის მორიდებულია, მაგრამ, ამავდროულად, წარმოაჩენს, რომ მის დაწუნებულ აღნაგობაში მომავალი ჩემპიონი იმალება.

ის უკვე არის დიდი ევროპული კლუბების სამიზნეში. საფრანგეთში ახსენებენ ჩელსის, რომელიც, საქმე საქმეზე როცა მიდგება, თანხის გამო უკან არ დაიხევს. მასზე ფიქრობენ არსენალშიც. იტალიაში მიქაუტაძეს ჯენოა და უდინეზე განიხილავენ...

საქართველოს ნაკრები ადრე არასდროს ყოფილა ასეთი ყურადღების ქვეშ, როგორც წელს და მიზეზი, რომელიც იოლად დასადგენია, ხვიჩა კვარაცხელიას არაორდინარულ ხასიათშია, რომელმაც სერია ა-ში დრიბლინგს ფასი დაუბრუნა. გზა უკვე გაკვალულია, გიორგის კი ახლა ერთი სული აქვს, „ქართველი მარადონას“ ალტერ-ეგო გახდეს...

# ახალგაზრდული ნაკრები ევროპამდე კვიპროსს ეთამაშება

15 ივნისს, ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს. მეტოქე კვიპროსის ნაკრები იქნება. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მატჩის შესახებ სხვა დამატებითი სახის ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლო შეხვედრა მარტში თურქეთის ქალაქ ბელეკში ლატვიის წინააღმდეგ ჩაატარა და მეტოქეს გიორგი გულიაშვილის გოლით სძლია.

გასულ კვირას 21-წლამდე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ ევროპის ჩემპიონატზე მოთამაშე საბოლოო 23-კაციანი განაცხადის წარდგენამდე გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 35 ფეხბურთელისგან შედგება.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას 10 ივნისიდან დაიწყებს, ტურნირის ჯგუფურ ეტაპს კი 21 ივნისს პორტუგალიასთან მატჩით გახსნის.




**ახალგაზრდული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა კუტალაძე (დინამო თბ), ლევან თანდილაშვილი (თელავი), ნოდარ ყალიჩავა (სამგურალი);

**მცველები:** ცოტნე კაპანაძე, ივა გელაშვილი, ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა (ყველა საბურთალო), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა), სანდრო კალანდაძე, საბა ხვადაგიანი, გიორგი მაისურაძე (ყველა დინამო თბ), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), საბა საზონოვი (დინამო, რუსეთი), მათე აბულაძე (სამტრედია);

**ნახევარმცველები:** ოთარ მამაგეიშვილი, გიზი მამაგეიშვილი, შოთა ნონიკაშვილი (ყველა საბურთალო), გიორგი წიტაიშვილი (ლეხი, პოლონეთი), ნიკა ხორხელი, ლუკა ხორხელი, ნოდარ ლომინაძე (ყველა სამგურალი), გაბრიელ სიგუა, გიორგი მოისწრაფიშვილი, ანზორ მექვაბიშვილი (ყველა დინამო თბ), ნიკა გაგნიძე (დილა), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), გიორგი ლომთაძე (გაგრა), ცოტნე ფაცაცია (შუქურა);

**თავდამსხმელები:** გიორგი გულიაშვილი (სარაევო, ბოსნია), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), გიორგი გაგუა (უნიონი, ესპანეთი), გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), გიორგი კვერნაძე (დინამო ბთ), ლადო ჩიხრაძე (სამგურალი).

**ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის მატჩების განრიგი:**

**21 ივნისი:** დინამო არენა. საქართველო-პორტუგალია 20:00;

**24 ივნისი:** დინამო არენა. საქართველო-ბელგია 20:00;

**27 ივნისი:** დინამო არენა. საქართველო-ნიდერლანდები 20:00;

უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატი საქართველოსა და რუმინეთში 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით გაიმართება. თამაშები საქართველოს სამ ქალაქში – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას 8 ივლისს ბათუმი არენა უმასპინძლებს.

# ლეო მესი: „ბარსელონიდან წასვლა არასდროს გვსურდა“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ბარსელონიდან წასვლა არასდროს გვსურდა. ეს ძალიან, ძალიან რთული იყო, მაგრამ ოჯახი მხარს მიჭერს და გადაწყვეტილება ერთად მივიღეთ.

ბავშვები ბედნიერები და, ამავე დროს, დამწუხრებულები არიან პარიზის დატოვებით, რადგან ისინი ქალაქს შეეგუვნენ და სკოლაში მეგობრებიც გაიჩინეს, რომლებთან განშორებაც გულს სწყვეტთ, მაგრამ ისინი გაზრდილები არიანმ განსაკუთრებით ტიაგო, რომელსაც სიტუაცია კარგად ესმის.

***– ბარსელონაში ამბობდნენ, რომ გადაწყვეტილება თქვენზე იყო დამოკიდებული. ჩავიმაც კი თქვა, რომ ყველაფერი თქვენს ხელში იყო, მაგრამ, ფაქტია, რაღაც რიგზე არ იყო. რას იტყვით ამაზე?***

– თითქმის ყველაფერი მოვისმინე. ლა ლიგამაც კი დაამტკიცა გეგმა, სიმართლე არაა, რომ გადაწყვეტილება ჩემზე იყო დამოკიდებული, რადგან კიდევ ბევრი რამ უნდა მომხდარიყო. გრძელი ზაფხული იყო მოსალოდნელი, მე კი ეს არ მსურდა, რამ ეს ერთხელ უკვე გამოვცადე. ვარჩიე, ეს დამესრულებინა, დავმშვიდებულიყავი და მომავალზე მეფიქრა.

***– ბარსელონიდან გამომავალი ინფორმაციისა და განცხადებებისგან ზეწოლას გრძნობდით?***

– არა, არა... უამრავი ინფორმაცია ვრცელდებოდა და არ ვიცოდი, ბევრი მათგანი საიდან მოდიოდა. ზოგიერთი ჟურნალისტი ადასტურებდა, რომ საუდის არაბეთში გადავდიოდი, ზოგიერთი ბარსელონას ფეხბურთელადაც მთვლიდა და მომდევნო დღეს ვერსიას ცვლიდნენ. ამიტომ მე ვარჩიე, იმაზე მეფიქრა, რაც ვიცოდი.

***– რამდენად მოახდინა თქვენს გადაწყვეტილებაზე გავლენა 2021 წელს მომხდარმა შემთხვევამ?***

– ეს ძალიან რთული იყო. როგორც აღვნიშნე, ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ იმავეს გამოცდა არ მსურდა. ახალი სეზონისთვის ვემზადებოდი, ჩემი შვილები კი ახალი სასწავლო წლისთვის, მაგრამ საკუთარი მომავლის შესახებ უსიამოვნო გადაწყვეტილების მიღებამ მომიწია.

***– რამდენად იქონია გავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე პარიზში გატარებულმა ორმა წელმა, რომლებიც, როგორც აღნიშნეთ, მარტივი არ იყო?***

– ცოტათი გავლენა ამანაც იქონია, რადგან პარიზში ბედნიერი არ ვიყავი, რაც ჩემს ოჯახურ ცხოვრებასაც დაეტყო. ამიტომ, გადაწყვეტილება ამასაც უკავშირდება. მინდა, ოჯახთან და ბავშვებთან უფრო მეტი დრო გავატარო და ცხოვრებით სიამოვნება მივიღო.

***– ჩავისა და ლაპორტასთან ისაუბრეთ?***

– ლაპორტასთან ორი წლის განმავლობაში ორჯერ ან სამჯერ ვისაუბრე, ჩავისთან კი ხშირი კომუნიკაცია მქონდა. ბარსაში მწვრთნელად მოსვლის შემდეგ, მასთან კიდევ უფრო მეტს ვსაუბრობდით. ჩვენ ჩემს დაბრუნებასაც განვიხილავდით და ვკითხე, იქნებოდა თუ არა ეს კარგი გუნდისა და პირადად მისთვის.

***– თქვენი სახელი კამპ ნოუზე მატჩის მე-10 წუთზე ხშირად ისმოდა.***

– ეს მშვენიერი იყო და ძალიან ვისიამოვნე. კლუბი უცნაურად დავტოვე. ვისურვებდი, ბუსკეტსის, ალბას, ინიესტას ან ჩავის მსგავსი დამშვიდობება მქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გამო სტადიონზე მაყურებელი არ იმყოფებოდა, ვისურვებდი, ხალხს დავმშვიდობებოდი და ბოლო დღით მესიამოვნა. ამიტომ კამპ ნოუზე ჩემი სახელის მოსმენით ძალიან ბედნიერი ვიყავი. გარდა ამისა, ყოველთვის ვიცოდი, რომ სიყვარული სამუდამო და ორმხრივია. უცნაური გრძნობა იყო, მოგესმინა ეს და იქ არ ყოფილიყავი.

***– დაიწერა, რომ ბარსაში უფასოდ თამაშისთვისაც მზად იყავით. ეს სიმართლეა?***

– ეკონომიკური საკითხი პრობლემა არასდროს ყოფილა. ფულზე არც გვისაუბრია. ბარსელონამ შეთავაზება გამიკეთა, მაგრამ არც ეს ყოფილა ოფიციალური, რადგან გარანტიები არ არსებობდა არ ვიცოდით, იქნებოდა თუ არა დაბრუნება შესაძლებელი. გადამწყვეტი ფული რომ ყოფილიყო, საუდის არაბეთში წავიდოდი – გადაწყვეტილება ამის მიხედვით არ მიმიღია.

***– ფიქრობთ, რომ ბარსელონამ თქვენ დასაბრუნებლად ყველაფერი გააკეთა?***

– გულწრფელად რომ ვთქვა, არ ვიცი. მათ ლა ლიგის თანხმობა ჰქონდათ, მაგრამ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთებულიყო. ბარსელონა არაა იმ სიტუაციაში, რომ ჩემთვის დაბრუნების გარანტია მოეცა, რაც გასაგებია იმ მდგომარეობის გამო, რაშიც კლუბი იმყოფება.

***– ბარსელონაში დაბრუნებას ისურვებდით თუნდაც სპორტულ დირექტორად ან ელჩად?***

– რა თქმა უნდა. მინდა, კლუბთან ახლოს ვიყო. მომავალში ბარსელონაში ცხოვრებას ვაპირებ. ეს ჩემს ცოლსა და ბავშვებთან ერთად გადაწყვეტილი მაქვს. არ ვიცი, როდის ან როგორ, მაგრამ, ვიმედოვნებ, ერთ დღეს შემეძლება, ბარსას ისევ დავეხმარო, რადგან ესაა კლუბი, რომელიც მიყვარს.

***– მაიამიში ბუსკეტსა და ალბასთან ერთად მიდიხართ?***

– ეს კიდევ ერთი ჭორია, რომელიც მედიამ გაავრცელა, თითქოს ჩვენ ყველაფერი ერთად დავგეგმეთ. ყველა საკუთარ მომავალზე ფიქრობს. ჩვენ ერთად არაფერი გადაგვიწყვეტია. ჩემი გადაწყვეტილება მე მივიღე და არ ვიცი, ისინი რას გადაწყვეტენ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 2. პირი, რომელიც არცერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 3. მონასტერი ქსნის ხეობაში; 5. ჩინური ფაიფური; 7. უმცროსი მეთაური სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 9. ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო; 13. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 15. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 16. ქალაქი შვეიცარიაში, სადაც განთავსებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია; 18. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა.

**თარაზულად:** 4. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 6. სულიერი დაძაბუნებით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 8. ქართველი მხატვარი ქალი; 10. დამუხლული, ღრუ ღეროს ტროპიკული მცენარე; 11. თანდაყოლილი, ფერადი გამონაზარდი ადამიანის სხეულზე; 12. შავი და თეთრი შრეებისგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 14. მდინარის მიერ მოტანილი ღორღი და ქვიშა; 17. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 19. ოქრომჭედლობაში, ძვირფასი ლითონისგან დამზადებული წნული; 20. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 21. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 22. ხეების ფესვებზე, კუნძებზე მზარდი საჭმელი სოკო; 23. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სოჭი; 2. ხიხვი; 3. ეზოპე; 4. წნევა; 5. ატელიე; 6. ბაბუშერა; 8. ენტომოლოგი; 10. გუგენჰაიმი; 11. პარტიტურა; 14. ბაგეტი; 15. ქრთამი; 16. ლეგია.

**თარაზულად:** 1. საჩხერე; 4. წყალტუბო; 7. ჭიუხი; 9. ბელგა; 12. ლეჟავა; 13. სტელა; 14. ბაწარა; 17. ფლინტი; 18. კრიპტოგრამა; 19. ზინდანი; 20. ნაბობი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სარაევო; 2. ანტონიმი; 3. პლანიცა; 5. მატეზერი; 7. მურილიო; 9. გერიატრია; 13. ჯანდარა; 15. შუამთა; 16. ჰამამი; 18. ოკაცე.

**თარაზულად:** 4. ქალამანი; 6. კონსუელო; 8. კაპიტოლიუმი; 10. ბაიკერი; 11. რიცი; 12. კიტონი; 14. ფშავი; 17. სტეკა; 19. ტანკი; 20. გამბუზია; 21. აურა; 22. მარასკინი; 23. მექსიკა.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

9 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6102

ევრო — 2.8005

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2528

100 რუსული რუბლი — 3.1830

## ამინდის პროგნოზი 9 ივნისისათვის




## მესი კარიერას ინტერ მაიამიში გააგრძელებს

ლიონელ მესი ბარსელონაში არ დაბრუნდება და კარიერას ინტერ მაიამიში გააგრძელებს. ეს ინფორმაცია ოფიციალურია და მესიმ თვითონ დაადასტურა ინტერვიუში, სადაც აღიარა, რომ სურდა ბარსელონაში დაბრუნება, თუმცა ეს მხოლოდ მასზე არ იყო დამოკიდებული: „ბარსელონაში დაბრუნება ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული და არ მინდოდა, რომ ჩემს ოჯახს ეს ყველაფერი განეცადა, ამიტომ მაიამიში გადასვლა ვამჯობინე, სადაც ჩემთვის საინტერესო იქნება თამაში. ბარსელონაში აუცილებლად დავბრუნდები, შესაძლოა, უკვე როგორც მწვრთნელი ან რაიმე სხვა თანამდებობაზე“.

## ალექსის მაკალისტერი ლივერპულის ფეხბურთელი გახდა




ლივერპულმა არგენტინელი ნახევარმცველი ალექსის მაკალისტერი დაიმატა. მათ ამ ტრანსფერში 35 მილიონი გადაიხადეს. მაკალისტერმა რამდენიმე წელიწადი ბრაიტონში გაატარა და მან 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა. სწორედ ჩემპიონატის შემდეგ მისი შეძენით რამდენიმე წამყვანი ინგლისური კლუბი დაინტერესდა და ლივერპულმა ყველას აჯობა. მაკალისტერმა ლივერპულთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ლევანდოვსკი: „ბარსელონას ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია“

ბარსელონის პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ მომავალ სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას ყველა ტიტულის მოგება შეუძლია, მათ შორის ჩემპიონთა ლიგის, თუმცა ეს რთული იქნება: „ბარსელონას წელს არ გაუმართლა ჩემპიონთა ლიგაში და ჩვენ ჯგუფურ ეტაპზე ძლიერი გუნდები შეგვხვდა. ვფიქრობ, მომავალ წელს ასე არ იქნება და ჩვენ შევძლებთ გამარჯვებისთვის ბრძოლას. ვიცი, ამის გაკეთება შეგვიძლია“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

ნარკომანი ჯოჯოხეთში მოხვდა. ხედავს კანაფის ყანაა. დასტაცა ხელი ცელს და თიბავს. ერთ-ერთმა ნარკომანმა გასძახა:

– შენ რა, გამოშტერდი, გაიხედე რამხელა ზვინი დგას.

ნარკომანი მივარდა ზვინთან და გადარჩევა დაიწყო. მეორე ნარკომანი ეუბნება:

– სულ გამოშტერდი, გაიხედე, რამდენი გადარჩეული და გამზადებული აწყვია.

ნარკომანი მივარდა და დანაწევრება დაიწყო. მეორე ისევ ეუბნება:

– შენ ვერ ხარ რა, ნახე, რამდენი უკვე შეკეთებული აწყვია.

ნარკომანი მივარდა, აიღო და ასანთს დაუწყო ძებნა. მერე მეორე ნარკომანს მიუბრუნდა და ეკითხება:

– ასანთი გააქვს.

– შენ, ვერ ხარ, ხო, ასანთი რომ იყოს, მაშინ რაღა ჯოჯოხეთი იქნებოდა.

•••

ოჯახის უფროსი და ბიჭი ტელევიზორს უყურებენ. ცოლი და ქალიშვილი კი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავენ. უცბად ჭურჭლის მტვრევის ხმა ისმის. ცოტა ხანში ბიჭი მამას ეუბნება:

– დედას გაუტყდა თეფში.

– შენ საიდან იცი?

– ვერ ხედავ, ხმას არ იღებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად როინ მეტრეველი აირჩიეს



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ისტორიკოსი როინ მეტრეველი აირჩიეს.

გადაწყვეტილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარებულ აკადემიის საერთო კრებაზე იქნა მიღებული, სადაც განხილული იყო რიგი საორგანიზაციო და, ამავდროულად, აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების საკითხი.

საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, განათლებისა და მეცნიერების სფეროში უბადლო ორგანიზატორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

## რეზო ჩხიკვიშვილმა ესენში ახალ სპექტაკლში ითამაშა



რეზო ჩხიკვიშვილმა გერმანიის ქალაქ ესენის ფრიდრიხ გრილოს სახელობის თეატრში ახალ სპექტაკლში ითამაშა.

„მადლობა და ნახვამდის“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის პრემიერასაც, გერმანელთან ერთად, ქართველი მაყურებელიც დაესწრო.

**ნინო მერაბიშვილი:**

– რეზოს პრემიერა ქალაქ ესენის გრილოს სახელობის თეატრში – „მადლობა და ნახვამდის“. ძალიან ვისიამოვნე და დიდი მადლობა რეზო ჩხიკვიშვილსა და ნინო ვიჯნბერგენს ამ არაჩვეულებრივი საღამოსთვის.

## დათა თავაძე: „ვინც რუსული ვიზის რიგებში იდექით, სულ არ გრცხვენოდათ?!“



ასე მიმართავს რეჟისორი და მსახიობი დათა თავაძე იმ ქართველებს, რომლებიც რუსეთში წასასვლელად და „მშვიდობის ხიდების“ ასაშენებლად ბილეთების რიგში ჩადგნენ:

– არ ვკარგავ იმედს, რომ ჩვენს საზოგადოებას იმდენი სიამაყე შერჩა, მტრის გადმოგდებულმა მოწყალებამ ოდნავ მაინც შეურაცხყოფილად რომ აგრძნობინოს თავი. სხვა თუ არაფერი, იმ კაცების ხათრით მაინც, კუბოებით რომ ჩამოჰყავთ უკრაინიდან. დღეიდან და იმის მერეც არჩევნებამდე, სად ვდგებით, თქვენ ეს მითხარით, მეტი არაფერი მაინტერესებს.

თქვენ კი, ვინც რუსული ვიზის რიგებში იდექით, სულ არ გრცხვენოდათ?! როგორმე გასტროლებზე რომ წასულიყავით მოსკოვებში, „მშვიდობის (ცალმხრივი) ხიდები“ რომ გეშენებინათ, „ჩვენი ერის ელჩები“ რომ იყავით, „მშვიდობის ელჩები“ – გიხაროდეთ! მათაც მოგიკითხავთ, რუს რეჟისორთან სალონურ შეხვედრაზე რომ ჩამწკრივებულხართ საკეკლუცოდ და რას აღარ იგონებთ საკუთარი მიზნების გასამართლებლად: „ოპოზიციურადაა განწყობილი!“, „ყველას ერთ ქვაბში ნუ მოვხარშავთ!“, „ამან რაც გადაიტანა“...

## საცვლებში გამოწყობილმა ბრიტნი სპირსმა კამერის წინ იცეკვა



ამერიკელმა მომღერალმა ბრიტნი სპირსმა ეროტიკული ცეკვა შეასრულა კამერის წინ და ვიდეო ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

მომღერალმა კამერის წინ ნარინჯისფერ გრძელსახელოებიან კროპ-ტოპსა და ვარდისფერ საცვალში გამოწყობილმა იცეკვა. ასევე ეცვა დაბალქუსლიანი თეთრი ჩექმა, ხოლო თმა გაშლილი ჰქონდა. ამავე დროს, კადრებში კარგად ჩანს, რომ ბრიტნის არც მაკიაჟი აქვს სახეზე და არც რაიმე სამკაული ამშვენებს. აღსანიშნავია, რომ მომღერალმა ვიდეორგოლზე კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა გათიშა, თავად ვიდეორგოლმა კი სამ მილიონზე მეტი ნახვა დაიმსახურა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## რუსკა ქარქაშაძე გათხოვდა



მსახიობი რუსკა ქარქაშაძე გათხოვდა. მისი რჩეული ლაშა მოწონელიძეა. რუსკას საყვარელმა მამაკაცმა ხელი იტალიაში, დაბადების დღეზე სთხოვა და მისგან თანხმობაც მიიღო.

წყვილის ბედნიერების ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა. რუსკამ და ლაშამ უამრავი საუკეთესო სურვილი და მოწონება დაიმსახურეს.

## თბილისი ბალეტის ფესტივალს უმასპინძლებს




ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი თბილისის ბალეტის ფესტივალს უმასპინძლებს.

ცეკვის 2-კვირიანი დღესასწაული 28 ივნისს დაიწყება და 2 ივლისს დასრულდება. ფესტივალს ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“ გახსნის, რომლის ქორეოგრაფია გენიალურ ვახტანგ ჭაბუკიანს ეკუთვნის. „ოტელოს“ ახალი რედაქცია ერთი წლის წინ ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა.

თბილისის ბალეტის ფესტივალი იმითაც არის გამორჩეული, რომ დედაქალაქში ჩამოვლენ უცხოეთის სხვადასხვა პრესტიჟულ თეატრში მოღვაწე ქართველი მოცეკვავეები.

„ოტელოს“ წამყვანი პარტიების შესასრულებლად თბილისში ჩამოვლენ ბოსტონ ბალეტის სოლისტები: ლაშა ხოზაშვილი, ბოსტონ ბალეტის წამყვანი სოლისტი, იქნება ახალგაზრდა თაობის პირველი ქართველი მოცეკვავე, რომელიც ოტელოს პარტიას იცეკვებს ბალეტის ახალ რედაქციაში, დეზდემონას პარტიას კი ბოსტონის ბალეტის სოლისტი ნინო მათიაშვილი შეასრულებს. ლაშა და ნინო ფესტივალის გალაკონცერტშიც მიიღებენ მონაწილეობას. სპექტაკლს ვახტანგ მაჭავარიანი უდირიჟორებს. 2 ივლისს თბილისის ბალეტის ფესტივალის გალაკონცერტი გაიმართება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 9 ივნისისათვის

**ვერძი** – უსარგებლო კავშირები სასწრაფოდ გაწყვიტეთ. ბიზნესში ნუ იაქტიურებთ. **კურო** – ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. დაკავდით სპორტით. **ტყუპები** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სინდისის ხმას მოუსმინეთ და ისე იმოქმედეთ. საღამო საოჯახო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ. **ლომი** – საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნეთ სხვებზე. **ქალწული** – მშვიდი და პასიური დღეა. ეცადეთ, წარსულში დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ღრიანკალი** – ბევრს თქვენი დახმარება სჭირდება. პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველ ნახევარში ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ დაბრკოლებებს იოლად გადალახავთ. საღამოს გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ **თხის რქა** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. ყველანაირად ხელი შეგეშლებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით ცხოვრებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოში; 2. მონასტერი საჩხერის რაიონში; 3. ფულის ერთეული ჩინეთში; 4. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 5. სილამაზის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდუიზმში; 6. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 8. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. ყოველივე უცხოურის სიყვარული; 11. ძველი გერმანული ტომი, რომელიც არბევდა ევროპულ ქვეყნებს; 14. ნარკოტიკების წვრილმანი გამსაღებელი აშშ-ში; 15. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 16. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ბრტყელი, ორპირა, მოკლე საბრძოლო იარაღი, სატევარი; 4. გორგოლაჭებიანი კონვეიერი; 7. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 9. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 13. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 17. ესპანური ღორის შაშხი; 18. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 19. დაბალი ხმით სიცილი; 20. სამოდელო სააგენტო საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

